ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 16 სექტემბერი, 2011 | №220 (5600) | ფასი: 30 თეთრი

## ილია II: „რუსეთის საზღვართან აშენებული წმინდა ტაძარი ქვეყნების მეთაურებს შორის მოლაპარაკებების ადგილად იქცევა“



გვ.3

# ირაკლი ალასანია: „არჩევნების გაყალბების შემთხვევაში სააკაშვილი შევარდნაძის ბედს გაიზიარებს“



გვ.2

„ეროვნულ ფორუმთან საარჩევნო სიაზე საუბარი არ გვქონია“

## ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლებამ სახალხო კრების ქონება უკანონოდ დააპატიმრა“

მერაბიშვილმა აგენტები შემოგვიგზავნა



გვ.4

## კონსტანტინე გამსახურდია: „ამ ქვეყანას ოპოზიცია არა ჰყავს“



გვ.5

## სასამართლო სხდომის დარბაზში კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტს ამკვიდრებს

გვ.3



## უგულავა ბიუჯეტს საარჩევნო კამპანიისთვის იყენებს

გვ.6

## ვინ ვინ არის



გვ.6

## გიორგი გუგავა: „2003 წლიდან დღემდე 1.200 სკოლა გაიყიდა“



გვ.6

## რუსუდან კერვალიშვილი: „ბავშვები უმამოდ აღარ უნდა გაიზარდონ“



გვ.7

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** სასამართლო მსჯავრი ეკლესიების გაქურდვისათვის

**4** მცხეთის სასამართლომ ორი ბრალდებული ერთ დღეს გაათავისუფლა

**2** ქუთაისის საკრებულომ ყინულის მოედნისათვის 290,500 ლარი გამოყო

**5** ვიკილიქსი: შამბა რუსეთთან ომისთვის მზად იყო

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი ალასანია: „არჩევნების გაყალბების შემთხვევაში სააკაშვილი შევარდნაძის ბედს გაიზიარებს“

ქეთი ხომერიკი

## „ეროვნულ ფორუმთან საარჩევნო სიაზე საუბარი არ გვქონია“

**მოსთხოვა თუ არა საარჩევნო სიაში პირველი 7 კანდიდატურის ჩასმა „ეროვნულმა ფორუმმა“ ექვსიანს, იშლება თუ არა „ექვსიანი“, არის თუ არა დაპირისპირება ნაციონალურ მოძრაობაში, ეფლირტავება თუ არა ალასანია ბოკერიას, რატომ არ სჯერა გილაურის და რას აპირებს ალასანია? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ „ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ესაუბრა.**




ირაკლი ალასანია:

— ჩვენ არც „ეროვნულ ფორუმთან“ და არც „ექვსიანის“ სხვა სუბიექტებთან გვქონია კვოტებზე საუბარი, რადგან მიგვაჩნია, რომ ბლოკის, ან საერთო სიის საკითხების განხილვის დრო ჯერ არ დამდგარა. ჩვენ ხანგრძლივი საუბრები გვქონდა იმაზე, რასაც ვაპირებთ, ანუ როდესაც დაიწყება საპარლამენტო განხილვები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით, კონკრეტულ ნაბიჯები, აქტივობები და საზოგადოების მობილიზება უნდა მოვახდინოთ, აი, ამას ვგეგმავთ. ჩვენ ვთქვით, რომ მილიონი ხმა, მილიონი მოქალაქეა საჭირო იმისთვის, რომ რეალური ცვლილებები განხორციელდეს და ნაბიჯების გადადგმას სწორედ ამ მიმართულებით ვიწყებთ. ჩვენი, „თავისუფალი დემოკრატების“ მთავარი ამოცანა ვინ სად სიაში, ან ვის რა თანამდებობა ექნება ნამდვილად, არ არის, ასეთი განხილვები ჩვენთვის მიუღებელია.

***— „ეროვნული ფორუმისთვისაც“ მიუღებელია და ირწმუნებით, რომ მსგავსი რამ არ განუცხადებია?***

— ვინმეს ეს საკითხი რომც წამოეწია, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ საუბარში არ შევყვებოდით, გიმეორებთ, ამ საკითხებზე საუბარი „ფორუმთან“ ნამდვილად არ გვქონია.

***— „ფორუმმა“ თქვენთან შეუთანხმებლად და მოულოდნელად დააანონსა „ქართველთა მარში“, ნუთუ არ გაგიკვირდათ, თანამებროლები საქმის კურსში რომ არ ჩაგაყენათ?***

— ჩემთან შეთანხმებული ეს არ ყოფილა. იცით, ჩვენც, თავისუფალი დემოკრატები ძალიან ბევრ პარტიულ ღონისძიებას ვგეგმავთ. მივესალმები, ფორუმის ამ ღონისძიებას, თუმცა 27-ში ჩვენც გვაქვს ღონისძიებები დაგეგმილი და ვერ შევუერთდებით მათ. 27 სექტემბერი განსაკუთრებული დღეა ჩვენი პარტიისთვის და მთელი საქართველოსთვის.

***— ფორუმი ბოლო პერიოდში პასიურობდა, რის გამოც საზოგადოება საყვედურობდა კიდეც, ახლა, ისიც კი ითქვა, რომ ქართველთა მარში ხელისუფლების პროექტია...***

— იცით, მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორებთან არც იყო გაზიარებული ამის დაგეგმვა, მაინც მგონია, რომ ფორუმს ამით საზოგადოების მობილიზება უნდა.

***— ფორუმი არ ტოვებს ექვსიანს? და საერთოდაც, ექვსიანში იდილიაა და არ იშლება?***

— ჩვენ შევთანხმდით, რომ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით უამრავ საერთო ღონისძიებას ჩავატარებთ.

***— რა ღონისძიებებს ?***

— როდესაც საარჩევნო გარემოს საკითხზე პარლამენტში განხილვები დაიწყება საზოგადოების მობილიზებით, საპარლამენტო განხილვებზე ჩვენი წარმომადგენლის მონაწილეობით, რეალურად დავანახვებთ ნაციონალურ მოძრაობას და სააკშვილს თუ რა ცვლილებისთვის არის საზოგადოება მზად. დავანახვებთ, რომ საზოგადოებას არ სურს, რომ სააკაშვილმა, როგორც მას უნდა, დანიშნოს შემდეგი პარლამენტი და შემდეგ გადადგას ნაბიჯები პრემიერ-მინისტრობისთვის.

***— კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმას აპირებთ?***

— ეს იქნება საკომიტეტო მოსმენებში ჩვენი მონაწილეობა, ასევე საზოგადოების მობილიზება პარლამენტთან საკუთარი ნების გამოხატვისთვის, მათ შორის, მედიაპროექტის წამოსაწევად, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნო გარემოს შეცვლისთვის, მედია როგორ იმოქმედებს არჩევნების დღეს. ჩვენ გვაქვს კონსულტაციები ძალიან გამოცდილ მედიაექსპერტებთან, მათთან, ვინც ასეთი ცვლილებების პაკეტს ამზადებს. ასევე იქნება ბევრი თეატრალიზებული ღონისძიება, რომელშიც თქვენც დაგპატიჟებთ და ჟურნალისტებიც მიიღებთ მონაწილეობას, ანუ ძალიან კრეატიული და ახლებური ბრძოლის ფორმები უნდა შევთავაზოთ საზოგადოებას, ამაზე ჩვენ ნაფიქრი გვაქვს და როგორც დავპირდით საზოგადოებას, შემოდგომიდან ამ ყველაფრის ხორცშესხმა დაიწყება.

***— და თუ თქვენს აქტიურობას შედეგი არ მოჰყვება, შემდეგ რას აპირებთ? თქვენი აზრით, ვენეციის კომისია რა შეფასებას მისცემს?***

— არ მინდა წინასწარი შეფასება გავაკეთო, ჩვენ დაველოდებით ვენეციის კომისიის შეფასებასაც, მაგრამ მთავარია, ჩვენ არ ვჩერდებით, მუდმივი ბრძოლისა და საზოგადოების მუდმივი გამოღვიძების რეჟიმში გადავდივართ და მე, ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი შეხვედრებით რეგიონებში. დანამდვილებით ვიცი, რომ საზოგადოება ელის ცვლილებებს. ხალხი დაიღალა ერთი და იგივე სახეების, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ყურებით, რომლებიც განცხრომაფუფუნებაში ცხოვრობენ, მაშინ, როცა ჩვენი საზოგადოების 95% გაჭირვებაშია.

***— სააკაშვილის გარემოცვა ახსენეთ და აქვე გკითხავთ, გავრცელებული ხმები თითქოსდა მერაბიშვილის გუნდი ბოკერიას გუნდს უპირისპირდება და თავად ბოკერია სააკაშვილსაცო თქვენი აზრით, სიმართლეა?***

— მე არ ვარ ის პიროვნება, ვინც კომენტარებს უნდა აკეთებდეს შიდა პროცესებზე, მაგრამ ჩემს აზრს, რადგან მეკითხებით, მოგახსენებთ. ბუნება და სახე სააკაშვილის არ შეიცვლება და ის ადამიანები, რომლებიც ამ რეჟიმის, მმართველობის ამ ფორმას უჭერენ მხარს, არ შეიცვლებიან, ანუ მათ აქვთ ყველაფერი საერთო და დასაკარგიც საერთო აქვთ. ამიტომ ნაკლებად მწამს იმის, რომ შიგნით რაიმე დაპირისპირებააა. ვფიქრობ, რომ ეს არის ტყუილი, რადგან სააკაშვილის აგრესიული სახე, მართვის სტილი გაზიარებულია ყველა იმ ადამიანის მიერ, რომელიც მონაწილეობას იღებს ამაში. ამიტომ მე, იქ ვერ ვხედავ ასეთ ხალხს, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბევრი გაწონასწორებული და პროფესიონალი ადამიანია სახელმწიფო სტრუქტურებში.

***— ვის გულისხმობთ? ისეთი, მსგავსი განცხადებების გამო, ფსევდოპოზიციას და ხელისუფლებასთან „შეკრულსაც“ კი გეძახიან...***

— არავითარი შეკრული, მე ვმუშაობდი სამართალდამცავ სტრუქტურებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და ვიცი, რომ საშუალო, საშემსრულებლო დონეზე მომუშავე ადამიანებიდან ბევრი პატრიოტია.

***— სხვათა შორის, სოსო მანჯავიძის განცხადებით, თქვენ ბოკერიას „ეფლირტავებით“, მანჯავიძე მოგიწოდებთ, რომ აღარ შეხვდეთ ბოკერიას და ქვეყანა უარეს უბედურებაში არ გახვიოთ... თქვენ ბოკერიას კვლავ ხვდებით, რამეზე გაურიგდით?***

— მე შემიძლია დავაწყნარო ბატონი სოსო და ვუთხრა, რომ ერთადერთი მიზანი, რაც თავისუფალ დემოკრატებს გვაქვს და რაშიც ვეძებთ პარტნიორებს, არის უკეთესი, წარმატებული ქვეყნის შექმნა. ბოკერიასთან არანაირი შეხვედრა არ გამართულა, ადრე იყო შეხვედრები, სადაც საქმიანი განხილვები გვქონდა საარჩევნო გარემოზე. მას შემდეგ, მას არ შევხვედრივარ, თუმცა არც ვალდებულად ვთვლი თავს, რომ ბატონ სოსოს ვაბარო ანგარიში, ვის ვხვდები და ვის არა. მაგრამ მე ვიღებ მის დაინტერესებას არა როგორც ნეგატივს, პირიქით, როგორც პოზიტივს, რომ მას აინტერესებს რეალურად ქვეყნის სამომავლო განვითარების გზები და ძალიან გთხოვთ, დაამშვიდეთ.

***— მოდით, საარჩევნო გარემოს თემას დავუბრუნდეთ, თუ სააკაშვილმა თქვენი და საზოგადოების მოთხოვნა არ გაითვალისწინა რევოლუციურ არჩევნებს მიიღებს?***

— ხაზგასმით ვაცხადებ, თუკი სააკაშვილმა დაკეტა სივრცე პოლიტიკური აქტიურობისთვის, არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, რესურსების მოზიდვის საშუალება, მედიარესურსების ხელმისაწვდომობის საშუალება შეაჩერა, მაშინ ბუნებრივია, საზოგადოებაში და პირადად ჩემში ეს აბსოლუტურად უკურეაქციას გამოიწვევს და ჩემთვის მთავარი ამოცანა იქნება, რომ შემდეგი არჩევნები რევოლუციური ცვლილების არჩევნები იყოს და გამოვიყვანოთ იმაზე მეტი ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან, ვიდრე ეს მოხდა წინა არჩევნებზე. ჩვენი მთავარი ამოცანაა ხალხის არჩევნებზე მოსვლა, ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ საზოგადოებას, რომ თუ არ მივა არჩევნებზე, ყველაფერს დაკარგავს, ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება.

***— და გაყალბების შემთხვევაში როგორ დაიცავთ ხმებს?***

— თუ 80% ჩვენი მოსახლეობის, ამომრჩევლის მოვიდა არჩევნებზე, სააკაშვილი არჩევნებს ვერ გააყალბებს, მაგრამ თუკი სცადა მან ხელისუფლების ძალადობით შენარჩუნება, მაშინ ნებისმიერი მისი ნაბიჯი იქნება არალეგიტიმური და ხალხი აიღებს ხელისუფლებას საკუთარ ხელში. როდესაც არალეგიტიმურად გაყალბებულ არჩევნებზე დაიწყებს სააკაშვილი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას დაემართება იგივე, რაც მის წინამორბედს, აბსოლუტურად იგივე.

***— ლეიბორისტების თქმით, ნაციონალური მოძრაობა არჩევნებისთვის თანხებს აგროვებს და იმიტომ ყიდის ყველაფერს...***

— ხომ ხედავთ, თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტის გაყიდვაზეც გადავიდნენ უკვე კარგა ხანია და გილაურმა კი აღიარა, რომ საკონტროლო პაკეტს არ გავასხვისებთო, მაგრამ ამას გარანტიები სჭირდება.

***— გილაურის არ გჯერათ?***

— მათი სიტყვის არასდროს მჯერა, ამას სჭირდება გარანტიები, ამიტომ ჩვენ მკაცრ მონიტორინგს დავაწესებთ, როგორ მოხდება განთავსება ამ სტრატეგიული ობიექტების საფონდო ბირჟებზე და მუდმივად გვეყოლება საზოგადოება ინფორმირებული.

***— დაბოლოს, თქვენ მიერ ორგანიზებულ აქციებს როდის ვიხილავთ?***

— უახლოეს კვირებში. ეს იქნება კონკრეტული თემატური აქციები. საარჩევნო გარემოს გარდა, საარსებო გარემოზეც ვაპირებთ აქციების ჩატარებას და რაც მთავარია, ალტერნატივას შევთავაზებთ საზოგადოებას. ჩვენ უმიზნოდ ხალხს ქუჩაში არ დავუძახებთ.

## სასამართლო მსჯავრი ეკლესიების გაქურდვისათვის

ზესტაფონის საქალაქო სასამართლომ ნიკორწმინდის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის გაქურდვაში ბრალდებულ გოჩა წიწილაშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა 2011 წლის 1 ივლისს ღამით შეაღწია ნიკორწმინდის ტაძარში, დანით დააზიანა ეკლესიაში დადგმული ლითონის ყუთი და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა შენაწირ თანხას .

საქმის მასალების მიხედვით, წიწილაშვილს მსჯავრი ეკლესიების გაქურდვის სხვა ეპიზოდებისთვისაც დაედო. სასამართლოს განაჩენით, მსჯავრდებული დანიშნული სასჯელიდან 5 წელს სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, დარჩენილი 2 წელი კი პირობით ჩაეთვალა.

## ქუთაისის საკრებულომ ყინულის მოედნისათვის 290,500 ლარი გამოყო



„თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის ინფორმაციით, 9 სექტემბერს ქუთაისის საკრებულომ ბიუჯეტში მორიგი ცვლილებები შეიტანა: კერძოდ,ქუთაისში განთავსებულ იუსტიციის სახლისათვის ავეჯის შეძენისთვის გამოიყო 150,00 ლარი; ააიპ თვითმმართველი ქალაქის ყინულის მოედნისათვის 290,500 ლარი, საკრებულოში შრომის ანაზღაურებისათვის 78,000 ლარი.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის ზვიად წაქაძის ქმით, აღნიშნული პროგრამები დააფინანსეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან შემოსული 150,000 ლარით და ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანებას ჩამოაკლეს 287,500 ლარი. არსებულ ბაგა ბაღებში ეს თანხა გათვალისწინებული იყო ბავშვების კვებისათვის და მომუშავე პერსონალისათვის ხელფასის მომატებისათვის.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციას უკანონოდ მიაჩნია საკრებულოს აღნიშნული გადაწყვეტილება, რადგან იუსტიციის სახლს ავეჯი უნდა შეუძინოს იუსტიციის სამინისტრომ და არა ადგილობრივმა საკრებულომ.

პარტიის ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ზვიად წაქაძის განცხადებით, ქალაქში სადაც მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა, არ ჭირდება ყინულის მოედანი და ყოვლად მიუღებელია ბაგა ბაღის ბავშვებს საკვების თანხას წაართმევ და საკუთარ ხელფასს გაიზრდი. მოვუწოდებთ ქუთაისელებს, დაიმახსოვრონ დღევანდელი საკრებულოს დეპუტატების სახელები და გვარები, რათა მოახლოებული არჩევნების წინ ისინი კვლავ მოვლენ თქვენთან და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ფიქრით ხმის მიცემას მოგთხოვენ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## უკანონო შემოსავლების დაფარვისათვის სასამართლომ ბრალდებულები გაასამართლა

2011 წლის 9 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა ბრალდებულების; ზაზა ჩხიკვიშვილისა და ვალტერ აბაშიძის მიმართ. ზაზა ჩხიკვიშვილს ბრალი ედებოდა სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ზაზა ჩხიკვიშვილსა და ვალტერ აბაშიძეს ასევე, ბრალად ედებოდათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

შპს „ღვარების“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო მარცვლოვანი კულტურების დათესვა, მოყვანა და რეალიზება. შპს-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო ზაზა ჩხიკვიშვილი, რომელიც, ფაქტობრივად, თავად უძღვებოდა ფირმის საქმიანობას. 2007 წელს შპს „ღვარებს“ შეეცვალა სახელი და ეწოდა „აგრო გრუპი“.

2006 წლის 30 ივნისის მთავრობის დადგენილების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც მიზნად ისახავდა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის პროგრამის “სურსათი პროგრესისათვის“ ფარგლებში, საქართველოსათვის გადმოცემული თანხებით სასაოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობის განვითარებას, მონაწილეობა მიიღო შპს „ღვარებმა“, რომელმაც მის მიერ წარდგენილი ბიზნეს-გეგმის მეშვეობით, სახელმწიფოსაგან მიიღო 7 წლის ვადით მიზნობრივი საშეღავათო კრედიტი, 1 300 000 (მილიონ სამასი ათასი) ლარის ოდენობით.

სახელმწიფოსაგან კრედიტის მიღების შემდეგ, ზაზა ჩხიკვიშვილმა, იმავე ფირმის დირექტორმა თემურ დევიძემ და კასპის სპირტის სახდელი ქარხნის - ს.ს „საქართველოს ნატურალური პროდუქტების კომპანიის“ დირექტორმა ვალტერ აბაშიძემ, შექმნეს მყარი, კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის დაფარვის გზით, უკანონო ქონების ლეგალიზება.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „ღვარებს“ ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მიღებული მიზნობრივი კრედიტის ფარგლებში არ ჰქონდა კრედიტით აღებული თანხის არადანიშნულებისამებრ გამოყენების უფლება, კერძოდ, გაცემული კრედიტი არ ითვალისწინებდა მარცვლეული კულტურისაგან სპირტის წარმოებას, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, სახელმწიფოსაგან მიღებული მიზნობრივი კრედიტის ნაწილით, ზაზა ჩხიკვიშვილმა, 2006-2007 წლებში განახორციელა დიდი რაოდენობით სიმინდის შესყიდვა და კასპში მდებარე ს.ს „საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანიის“ სპირიტის სახდელ ქარხანაში არამიზნობრივად, პირადი გამორჩენის მიზნით 847 120კგ. სიმინდისაგან გადაამუშავა და გამოხადა, პირველ ეტაპზე 164 ტონა, ხოლო მეორე ეტაპზე 110 ტონა სპირტი, საიდანაც მხოლოდ 64 ტონა სპირიტის გამოხდა ასახა ოფიციალურად დოკუმენტაციაში, ხოლო დარჩენილ სპირტს ვალტერ აბაშიძესთან ერთად არალეგალურად გაუკეთდა რეალიზება, რითაც ბრალდებულებმა მოახდინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის 137 524 ლარის ლეგალიზება. ასევე, 2007-2008 წლებში, შპს „აგრო-გრუპი“-ს მიერ დათესილი და მოყვანილი იქნა 2 526 960 კგ. მარცვლეული კულტურა „სორგო“, რომელიც შეტანილი იქნა ს.ს. „საქართველოს ნატურალური პროდუქტების კომპანიაში“ და ს.ს. „კახალკოში“, საიდანაც ფარულად გამოიხადა სპირიტი, რასაც ვალტერ აბაშიძემ და ზაზა ჩხიკვიშვილმა კვლავ არალეგალურად გაუკეთეს რეალიზება. ხოლო, შ.პ.ს „აგრო-გრუპი“-ს ბუღალტერიაში წარდგენილი ყალბი დოკუმენტაციით დაფიქსირდა თითქოსდა განხორციელდა „სორგო“-ს მარცვლეული კულტურის სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზება 1 166 583 ლარად. აღნიშნული ოპერაციის შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიერ უკანონოდ მიღებული იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობის 691 222 ლარის შემოსავალი.

სპირტის არალეგალურად წარმოების შედეგად, უკანონოდ მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხებით, ორგანიზებული ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ სხვადასხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების შეძენასა და საწარმოო პროცესის განვითარება-გაფართოებას.

სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდებულმა ვალტერ აბაშიძემ სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული; აქტიურად ითანამშრომლა გამოძიებასთან, ასევე ამხილა ზაზა ჩხიკვიშვილი დანაშაულის ჩადენაში, რის საფუძველზეც მხარეებს შორის დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების თანახმად, ვალტერ აბაშიძეს სასამართლომ 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ასევე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბრალდებულმა ზაზა ჩხიკვიშვილმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა მისი ბრალეულობა დადასტურებულ იქნა სასამართლოს მიერ გამოკვლეული და საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით, რომლის საფუძველზეც სასამართლომ დამნაშავედ სცნო ზაზა ჩხიკვიშვილი და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 13 წლის, 5 თვის და 26 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 11 წელს და 6 თვეს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 1 წელი 11 თვე და 26 დღე ჩაეთვალა პირობითად, 2 წლის 11 თვის და 26 დღის გამოსაცდელი ვადით, ასევე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

# სასამართლო სხდომის დარბაზში კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტს ამკვიდრებს

**სასამართლო ხელისუფლება მოსამართლეებისთვის სხდომის დარბაზში კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტის დამკვიდრებას იწყებს. სპეციალურად ამ თემისთვის შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა უკვე შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელსაც დღეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საზოგადოებას გააცნობს.**




***— რატომ გახდა აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება და რა შეიცვლება მოქალაქეებისთვის? ამ კითხვებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი უპასუხებს.***

— სასამართლო პროცესზე მოსამართლის მხრიდან დარბაზთან სწორად და ეფექტურად წარმართული კომუნიკაცია იყო და რჩება ერთ-ერთ იმ პრიორიტეტულ მიმართულებად, რომელსაც სასამართლო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს. ჯერ კიდევ სასამართლო რეფორმის დასაწყისში, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ მიმართულებით გვემუშავა. დავიწყეთ უცხოური გამოცდილების შესწავლა და საქართველოში მოვიწვიეთ გერმანელი სპეციალისტები, რომლებმაც სამი სემინარი ჩაუტარეს ქართველ მოსამართლეებს, რის შემდეგაც ქართული გამოცდილების და ქართული რეალობის გათვალისწინებით, შევქმენით სპეციალური კურსი, ამჯერად უკვე ქართველი ტრენერების მონაწილეობით და ეს კურსი დავნერგეთ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელებისთვის, ანუ მომავალი მოსამართლეებისთვის. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, რადგან იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც ახალი წესით, ანუ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსის გავლის შემდეგ არიან დანიშნულები, მცირეა, მოსამართლეთა კორპუსის უფრო დიდ ნაწილს წარმოადგენენ ის მოსამართლეები, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსის გავლის გარეშე არიან დანიშნულები.

თუმცა, კურსი, რომელიც სკოლაში იყო დანერგილი, უფრო ზოგადი გახლდათ და სასამართლო სხდომის ძირითად ასპექტებს მოიცავდა. ეს კი დღევანდელი გადმოსახედიდან უკვე აღარ არის საკმარისი.

მიმაჩნია, რომ მოსამართლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ გადაწყვეტილება დაწეროს კვალიფიციურად, არამედ წარმართოს სხდომა ისე, რომ დარბაზში იგრძნობოდეს სასამართლოს მიმართ კეთილგანწყობა და მხარეებს მიეცეთ შეჯიბრებითობის რეალური შესაძლებლობა. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე კარგად ფლობს კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს და ზუსტად იცის, როგორ მართოს დარბაზი. მოქალაქეები მოსამართლეს ხედავენ და მას პროფესიულ ჭრილში აღიქვამენ მხოლოდ სასამართლო დარბაზში, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ სასამართლო დარბაზში იყოს მოსამართლე ყველასთვის მისაბაძი და პატივსაცემი. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სწორად წარმართავს კომუნიკაციას მხარეებთან და აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და სამოსამართლო უნარები.

ჩვენ ვატარებთ უამრავ ტრენინგს ამ მიმართულებით, თუმცა გვინდა, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ამ მხრივ სიტუაცია, და ვფიქრობ, აღნიშნული რეკომენდაციები, სადაც დეტალურად არის გაწერილი მოსამართლის ყველა შესაძლო ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია დარბაზთან, კიდევ უფრო მეტ კეთილგანწყობას შეუქმნის დარბაზში მყოფ მოქალაქეებს. ჩვენი მიზანია, რომ მოსამართლემ თავისი ქცევით და კომუნიკაციით დაძაბულობა მოუხსნას მხარეებს და მისცეს მათ საშუალება, თანაბრად წარმოაჩინონ საკუთარი პოზიცია, ჰქონდეთ განცდა, რომ სასამართლო მზადაა მოუსმინოს მათ, იგი არის ობიექტური და ამავდროულად, საშუალებას აძლევს მხარეებს, რომ კანონის თანახმად გამოხატონ საკუთარი პოზიცია.

და ზოგადად, სასამართლო გარემო კი არ უნდა თრგუნავდეს ადამიანებს, არამედ უნდა აძლევდეს იმედს, რომ მოსამართლე არის ადამიანი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული არბიტრის უფლებამოსილება.

***— ბოლო დროს მედიაში ხშირად შუქდება სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო ტრენინგები სასამართლოს მოხელეებისთვის. რა ტიპის ტრენინგებს უტარებთ და ვის ატრენინგებთ?***

— უკვე სამი წელია, ვმუშაობთ სასამართლო მოხელეების ტრენინგებზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორი სახით წარდგება მოსამართლე დარბაზში, არამედ ისიც, თუ როგორ ურთიერთობენ სასამართლო მოხელეები სასამართლოში მისულ ადამიანებთან. პირველი შეხება ხომ ამ მოქალაქეს სწორედ სასამართლოს მისაღებთან, სასამართლოს კანცელარიასთან აქვს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება მისი პირველი შთაბეჭდილება სასამართლოზე. ამის გამო ჩვენ აქტიურად დავიწყეთ და დღესაც ვაგრძელებთ ტრენინგების კურსს სასამართლოს მოხელეებისთვის. უახლოესი ტრენინგი 17 სექტემბერს არის დანიშნული დასავლეთ საქართველოში, სასამართლოების იმ თანამშრომლებისათვის, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ მოქალაქეებთან, იქნებიან ისინი თანაშემწეები, თუ სასამართლოს მისაღების თანამშრომლები.

ზემო აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენ შევქმენით სასამართლო მოხელეების მოქალაქეებთან ურთიერთობის გარკვეული წესები. თავდაპირველად, ინგლისელმა ექსპერტებმა რამდენიმე ტრენინგი ჩაუტარეს სასამართლოს მოხელეებს და ამ ტრენინგების და მათი გამოცდილების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშავა სასამართლო მოხელეების მოქალაქეებთან ურთიერთობის სტანდარტი, რომლის დაცვაც ევალება ყველა თანამშრომელს და სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მოქალაქეებთან სწორი კომუნიკაცია სასამართლო მოხელეებისთვის არის მთავარი პრიორიტეტი. საყურადღებოა, რომ ამ სტანდარტის დაცვა მანდატურსაც ევალება, რომელიც ვალდებულია დაეხმაროს მოქალაქეს და მიაწოდოს მას სრულყოფილი ინფორმაცია სასამართლოში მისაღების, კანცელარიის თუ სხდომათა დარბაზების მდებარეობის შესახებ.

ჩვენი მუშაობის შედეგი კი ყველაზე კარგად ჩანს იმ მოქალაქეების შეფასებაში, რომლებსაც შემხებლობა აქვთ სასამართლოსთან. ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, რომელსაც ჩვენთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ატარებდნენ, სასამართლო მომხმარებლების 75 პროცენტი და რამდენიმე სასამართლოში 80-პროცენტიც აცხადებს, რომ ისინი კმაყოფილები არიან სასამართლოს მომსახურებით, სასამართლოს მოხელეების დამოკიდებულებით, საქმეთა განხილვის ვადებით და ასევე, ეს მოქალაქეები აცხადებენ, რომ ენდობიან სასამართლოს.

ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით, მოხდა ე.წ. ფარული მომხმარებლის პრინციპის გამოყენება, ანუ მათ გადაამოწმეს, თუ რამდენად რეალური იყო კვლევის შედეგები და არსებული მდგომარეობა. ამ გადამოწმებამ აჩვენა, რომ კვლევები გახლდათ რეალური და სასამართლო მომხმარებლების 75-80 პროცენტი კმაყოფილი იყო სასამართლოს მომსახურებით.

მსგავსი ტიპის კვლევას რამდენიმე კვირაში სასამართლოებში ისევ ჩავატარებთ. ეს შედეგები ჩვენ გვჭირდება იმისათვის, რომ მუდმივად ვიცოდეთ, სად გვაქვს პრობლემა და რა მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ ყველაზე მეტად.

## ილია II: „რუსეთის საზღვართან აშენებული წმინდა ტაძარი ქვეყნების მეთაურებს შორის მოლაპარაკებების ადგილად იქცევა“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესის ილია II განცხადებით, დარიალის ხეობაში აშენებული წმინდა ტაძარი ქვეყნების მეთაურებს შორის მოლაპარაკებების ადგილის ფუნქციასაც შეითავსებს.



როგორც გუშინ ტაძრის გახსნაზე პატრიარქმა ბრძანა, ამ ტაძარს, სულიერის გარდა, სხვა მნიშვნელობაც აქვს, რადგან რუსეთის საზღვართან არის აგებული.

— ვფიქრობ, ეს ტაძარი სასწაულს გვიჩვენებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი ქვეყნები ისევ მშვიდობიან ურთიერთობაში იქნებიან. რუსეთში უმრავლესობა არის მართლმადიდებელი და, როდესაც იქიდან შემოვა სტუმარი, ის დაინახავს, რომ შევიდა მართმადიდებლურ, მშვიდობიან ქვეყანაში. ეს წმინდა ტაძარი გახდება თავშესაფარი ყოველი მგზავრისა, აქ შედგება მოლაპარაკებები ქვეყნების მეთაურებს შორის. ასეთი მაღალი დონის იქნება ეს მონასტერი., — აღნიშნა ქადაგების დროს უწმინდესმა

ილია II თქმით, საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი ელოდებოდა ამ ბედნიერ დღეს, რომ აქ, საქართველოს კარიბჭეში აშენებულიყო, ტაძარი წმინდა მთავარანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის სახელობის.

— უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს - კლდესა ამას ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ვერ ერეოდიან მას. ასეთი ტაძარი აშენდა „კლდესა ზედა“ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ “ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ ვერ მოერევიან მას. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, უფრო მეტად - სულიერი. მთავარანგელოზები მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი და სხვები არიან მფარველნი ყოველი ადამიანებისა და საქართველოსი, — ბრძანა ქადაგებისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

უწმინდესმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დარიალის ტაძარში გახსნას და წირვა-ლოცვას დაესწრო.

პატრიარქმა მიქაელის მფარველობა უსურვა სრულიად საქართველოსა და პრეზიდენტს, რისთვისაც პრეზიდენტმა პატრიარქს მადლობა გადაუხადა.

ცნობისთვის: მამათა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა 2005 წელს დაიწყო. გუშინ ეკურთხა ყოველთა ქართველთა წმინდანთა სახელობის ტაძარი, დღეს წირვა გაიმართა წმინდა მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძარში და ასევე დაგეგმილია კიდევ ერთი ტაძრის მშენებლობა, რომელიც წმინდა გიორგის სახელობის იქნება.

სამონასტრო კომპლექსში დაგეგმილია 150 ბერისთვის და მორჩილისათვის კელიების, სასტუმროს, აგრეთვე, საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა.

**მედიანიუსი**

## მერაბიშვილმა აგენტები შემოგვიგზავნა

# ირაკლი ბათიაშვილი: „ხელისუფლებამ სახალხო კრების ქონება უკანონოდ დააპატიმრა“

თეა მარხვაი ე

**სკანდალურმა პორტალმა „ვიკილიქსმა" ჩვენი ოპოზიციონერების მიმართ შესაშური ყურადღება გამოიჩინა. ეს საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩის, ჯონ ტეფტის დამსახურებაა. მისი ყურადღების ცენტრში ირაკლი ბათიაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებაც მოექცა. ამერიკაში გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ მის გათავისუფლებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს პატრიარქმა. აშშ-ს ელჩები თავიანთ წერილებში ხშირად საუბრობენ პატრიარქისა და ეკლესიის ავტორიტეტზე.**


ირაკლი ბათიაშვილი

რატომ უთმობენ ელჩები ასეთ ყურადღებას ჩვენს ეკლესიას, რატომ არის ვიკილიქსის მასალები ტენდენციური ოპოზიციის მიმართ, რისი პროვოცირება მოახდინა ჯონ ბასმა, ამის შესახებ სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ირაკლი ბათიაშვილი:**

— მგონი, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ „ვიკილიქსმა“ ჩემი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებაც გამოაქვეყნა მასალა. როგორც პოლიტიკური პატიმარი, მე მოქცეული ვიყავი ყურადღების ცენტრში. ამ საკითხს ყურადღებას უთმობდა როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობა. ამ საკითხით დაინტერესებული იყვნენ უფლებათადამცველები. როგორც ჩანს, ამით დაინტერესდა ამერიკის საელჩოც. ასე მოხვდა ეს ამბავი „ვიკილიქსის“ მასალებში.

***— წერილში ხაზი გასმულია, რომ თქვენი განთავისუფლების საქმეში განსაკუთრებული გავლენა იქონია პატრიარქმა.***

— ეს მართლაც ასე იყო. ჩემს გათავისუფლებაში დიდი წვლილი შეიტანა ქართველმა საზოგადოებამ, ოპოზიციამ, ჩემმა ოჯახმა. განსაკუთრებული წვლილი კი ამ საქმეში პატრიარქმა შეიტანა.

***— „ვიკილიქსის“ მასალებში საკმაოდ ხშირად ფიგურირებს პატრიარქი. ამერიკის ელჩები თავიანთ წერილებში ეკლესიის როლზე და ავტორიტეტზე ბევრს საუბრობენ. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ეკლესიის მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულებაა.***

— მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს არაჯანსაღი დამოკიდებულებაა. როცა საქმე ეხება საქართველოში არსებულ ვითარებას, შეუძლებელია პატრიარქზე და ეკლესიაზე არ ილაპარაკო. ვინაიდან, ყველასათვის და მათ შორის ამერიკისთვისაც ცნობილია, რომ საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი არის ეკლესია. ყველაზე მეტი ნდობით კი პატრიარქი სარგებლობს.

***— მთელი რიგი ექსპერტები და პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამერიკას ეს არ მოსწონს.***

— ვერ გეტყვით, მოსწონს თუ არა ეს ამერიკას. თუმცა ფაქტია, რომ ვერავინ აუვლის გვერდს ჩვენს ეკლესიას. მას ყველა ენდობა და ანგარიშს უწევს.

***— საერთოდ „ვიკილიქსზე“ რას ფიქრობთ, ბევრი სერიოზულად არ აღიქვამს. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ეს პორტალი ხელისუფლების სასარგებლო ინფორმაციებს აქვეყნებს.***

— „ვიკილიქსში“ გამოქვეყნებული მასალები შეიძლება ტენდენციურია. ოღონდ ეს ამ პორტალის ბრალი არ არის. პორტალმა გამოაქვეყნა ის ინფორმაციები. რომელსაც ამერიკის ელჩები სახელმწიფო დეპარტამენტს აწვდიდნენ. შესაბამისად არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასეთი ტენდენიციური ინფორმაციები ქვეყნდება.

***— რატომ არ უნდა გაგვიკვირდეს?***

— იმიტომ, რომ საქმე ჯონ ტეფტის წერილებს ეხება. ტეფტი კი ვინც არის, ყველამ კარგად ვიცით. ის ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერდა სააკაშვილის ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე მისი ინფორმაციები ობიექტური ვერ იქნებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ოპოზიციას ეხება.

***— თავად „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალების გჯერათ?***

— რა თქმა უნდა. „ვიკილიქსის“ მასალები არის დამაჯერებელი და დადასტურებული. ამერიკა ამიტომაც ითხოვდა მისი დამფუძნებლის, ასანჟის გადაცემას. ჩვენს ოპოზიციაზე გამოქვეყნებულ ტენდენციურ მასალებთან „ვიკილიქსი“ არაფერ შუაშია. ეს ტეფტის დამსახურებაა, რომელიც როგორც უკვე გითხარით, სააკაშვილის აშკარა მხარდამჭერი იყო.

***— ჯონ ბასზე რას იტყვით? ოპოზიციის ერთი ნაწილი დღემდე მას აბრალებს 26 მაისის სისხლიან ღამეს.***

— 26 მაისის სისხლიანი ანგარიშსწორება ჯონ ბასს არ უნდა დავაბრალოთ. უნდა ვიყოთ ობიექტურები და ვთქვათ, ვისი ბრალია ეს. ის რაც მოხდა, მიხეილ სააკაშვილის და ვანო მერაბიშვილის დამსახურებაა, დამნაშავეა მთელი პოლიტიკური ელიტა. მათ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ბასის შეცდომა იყო ის, რომ მან არასწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, რითაც პროვოცირება გაუკეთა ხელისუფლების სადამსჯელო ოპერაციას.

***— იმ დარბევების შემდეგ სახალხო კრება გაჩერდა. რამდენიმე განცხადება გააკეთეთ მხოლოდ. რას აპირებთ? შეწყვიტეთ ბრძოლა? ან როგორ აპირებთ მის გაგრძელებას, როცა ოფისიც კი აღარ გაქვთ.***

— ხელისუფლებას იმედი უნდა გავუცრუო. მათ გასაგონად ვამბობ, რომ არ გავჩერებულვართ.

***— ამბობთ, არ გავჩერებულვართო, მაგრამ არც აქტიურობა შეინიშნება თქვენი მხრიდან.***

— გაჩერებას თავისი მიზეზები ჰქონდა. სახალხო კრება აღმოჩნდა უმძიმესი წნეხის ქვეშ. ჩვენგან უამრავი ადამიანი დაიჭირეს.

***— რამდენი?***

— 300 ადამიანი დააკავეს ადმინისტრაციული წესით. მათ ერთთვიანი და სამთვიანი პატიმრობები შეეფარდათ, 50 კაცი დაიჭირეს სისხლის სამართლის მუხლით. უამრავი საფიქრალი და საზრუნავი გვქონდა ამ პერიოდში. ჩვენი უზარმაზარი ქონება არის დაპატიმრებული. ამით მატერიალური წნეხის ქვეშაც მოგვაქცია ხელისუფლებამ.

***— ოფისის დალუქვას გულისხმობთ?***

— მარტო ოფისის დალუქვა არა მაქვს მხედველობაში. ვკითხულობთ, რატომ არის ოფისი დალუქული, პასუხს არ გვცემენ. ჩვენ მეპატრონესთან დაგვიმთავრდა კონტრაქტი. ის პატრონს უნდა დავუბრუნოთ. მაგრამ მისი გაღების უფლებას არ გვაძლევენ.

***— რა მიზეზით არ გაძლევენ ამის უფლებას?***

— მიზეზი ერთია, ამით ყველას ეუბნებიან, რომ თუ სახალხო კრებას მისცემენ ოფისს, დაისჯებიან. ასევე დაპატიმრებულია ჩვენი მანქანები. უკანონოდ არის დაპატიმრებული ის უზარმაზარი მანქანა, სადაც სცენა იყო განთავსებული. დაკავებულია გახმოვანების აპარატურა. ამის გარდა ჩვენს წევრებზე ხორციელდება ტერორი.

***— რა ფორმებით?***

— ურეკავენ, ხვდებიან, აშინებენ. რამდენიმე დღის წინ სერიოზული ინციდენტი შეემთხვა ზვიად ყუშიტაშვილს. ის ემიგრანტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელია. ზვიადი სახალხო კრებაშია. სამართალდამცავებმა ელბაქიძიდან გაიტაცეს. ეს დღისით, მზისით მოხდა. სამი დღე ჰყავდათ გაუჩინარებული. სცემეს და 13 წლის შვილის გაუპატიურებით დაემუქრნენ. პირდაპირ ეუბნებოდნენ, კიდევ იქნები სახალხო კრებაში. მოაწერინეს ხელი თანამშრომლობაზე. ამ ბიჭმა ივაჟკაცა, გამოვიდა და ყველაფერი თქვა. აი, ასეთი ტერორი მიდის ჩვენზე. ამ პირობებში როგორ შევძლებდით აქტიურობას. ჩვენი საზრუნავი იყო რეპრესირებულები. ამას სჭირდებოდა კონტროლი და კოორდინაცია. მთელი დარტყმა მიზნად ისახავდა ჩვენს დეზორგანიზებას.

***— შეძლო ეს ხელისუფლებამ?***

— ვერა. ამ დროის განმავლობაში ვცდილობდით, სისტემა ფეხზე დაგვეყენებინა. ახლა ვიკრიბებით და აქტიურად ვმუშაობთ. გაჩერებას არ ვაპირებთ. მით უმეტეს, სახალხო კრებამ დაამტკიცა, რომ პოლიტიკურ ჭაობში ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია ხელისუფლებასთან შერკინება.

***— თუმცა, ამ შერკინებაში დამარცხდით.***

— ფიზიკურად დავმარცხდით. პოლიტიკურად და მორალურად არ დავმარცხებულვართ. ეროვნული მოძრაობის დროსაც გვარბევდნენ. მერე ხელახლა ვაგრძელებდით ბრძოლას და გავიმარჯვეთ კიდევაც. ჩვენ ისევ ვაგრძელებთბრძოლას.

***— აქვს აზრი ბრძოლას, საზოგადოებაში უიმედობაა გამეფებული.***

— ეს დაიძლევა. ხალხი მიხვდება, რომ სახალხო კრება არის ჭეშმარიტი ძალა, რომელიც უანგაროდ უპირისპირდება ავტორიტარულ რეჟიმს.

***— თუმცა თქვენ მოგიაზრებენთ რუსულ ძალად და პუტინის ხალხადაც.***

— ამას იდიოტები ამბობენ. იდიოტები ყველაფერს იტყვიან. მე არ გამოვრიცხავ, რომ მალე კადაფის ხალხადაც გამოგვაცხადონ.

***— როდიდან აპირებთ ამოქმედებას?***

— უკვე ამოქმედებული ვართ.

***— აგენტები მრავლად იყვნენ თქვენს რიგებში. ახლა ამისგან დაზღვეულები ხართ?***

— დაზღვეული არა ვართ. ასეთი რამისგან არავინ არ არის დაზღვეული.

***— რატომ ვერ აღმოაჩინეთ თქვენს რიგებში აგენტები?***

— სახალხო კრება იყო ღია. იქ ყველა მოდიოდა. მერაბიშვილმა მსტოვრები განსაკუთრებით მრავლად შეფიცულებში შემოაგზავნა. სამწუხაროდ ჩვენ მათი აღმოჩენა ვერ შევძელით. ამისგან დაზღვეული არავინ არ არის.

## მცხეთის სასამართლომ ორი ბრალდებული ერთ დღეს გაათავისუფლა

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა ორი ბრალდებული. ნოდარ აფციაურს და ბადა წიკლაურს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვაში ედებოდათ.

ორივე მათგანის მიერ ჩადენილი ქმედება წინასაწარი გამოძიებისას დადასტურდა, როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ასევე თვით ნოდარ აფციაურისა და ბადა წიკლაურის აღიარებითი ჩვენებებით, ასევე ჩხრეკის ოქმებითა და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით.

ბრალდებულებმა ითანამშრომლეს გამოძიებასთან და სასამართლომ მათ სამი წელი პირობითი მსჯავრი მიუსაჯა, რაც საბოლოოდ, 4 წლით გამოსაცდელი ვადით შეუცვალა და ორივე მათგანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

## „გიორგი ტატიშვილს პარლამენტში ადგილმონაცვლე არ ეყოლება“


ხათუნა გოგორიშვილი

შიდა ქართლის გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშნულ დეპუტატ გიორგი ტატიშვილს პარლამენტში ადგილმონაცვლე არ ეყოლება. როგორც „მედიანიუსს“ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილმა განუცხადა, იმის გამო, რომ პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობის საქმიანობის დასრულებამდე ერთ წელიწადზე ნაკლებია დარჩენილი, ტატიშვილის ადგილომაცვლის ასარჩევად გორის ოლქში მაჟორიტარული არჩევნები აღარ ჩატარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი ადგილმონაცვლე დეპუტატის ვინაობა რიგგარეშე მაჟორიტარულ არჩევნებს უნდა გამოევლინა.

როგორც ცნობილია, გიორგი ტატიშვილი სწორედ გორის მაჟორიტარი დეპუტატი იყო. მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს კი პარლამენტი პლენარულ სხდომაზე უყრის კენჭს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ტატიშვილმა შიდა ქართლის გუბერნატორის თანამდებობაზე ზურაბ არსოშვილი შეცვალა, რომელიც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

**მედიანიუსი**

## მიხეილ სააკაშვილი: ენერგორესურსების ერთი მიმწოდებელი იგივეა, რაც სიკვდილი



საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ენერგორესურსების ერთი მიმწოდებელი იგივეა, რაც სიკვდილი. სააკაშვილმა ეს განცხადება უკრაინულ გამოცემა „სეგოდნიასათვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. ჟურნალისტი უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებულ ე.წ.გაზის კონფლიქტზე სააკაშვილის მოსაზრებით დაინტერესდა. პრეზიდენტის განცხადებით, ამჟამად უკრაინას ძალიან რთული პერიოდი უდგას, რომელიც საქართველომ უკვე გაიარა. იგი მიიჩნევს, რომ უკრაინამ ამ მხრივ დამოკიდებლებას თავი უნდა დააღწიოს. მისი შეფასებით, ენერგორესურსების ერთი მიმწოდებელი სიკვდილია და შანტაჟისათვის ამ ფაქტორის გამოყენება ადვილია.

— თავად განსაჯეთ. 2005 წელს, როცა რუსეთმა ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა, არ ვიცოდით, რა გვექნა, რადგან ენერგორესურსების 90 პროცენტს რუსეთისგან ვიღებდით. ახალ კი ელექტროენერგიის ექსპორტს რუსეთში ვახორციელებთ. როცა რუსეთმა ბაზარი ჩაგვიკეტა, ჩემ გარშემო ბევრი ფიქრობდა, რომ დავიღუპეთ. ახლა კი, როცა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიენება სურს, მის ბაზარზე დაბრუნებას თვითონ გვთხოვს. მაგრამ ეს საქართველოში ვინმეს გასაკუთრებულ ენთუზიაზმს არ იწვევს. ამ დროისათვის გაზის ნაწილს, ტრანზიტის გადასახადის სანაცვლოდ, რუსეთი გვაწვდის, მაგრამ სხვა მომწოდებელიც გვყავს, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, ეს გაკვეთილი რუსეთმაც ისწავლა და, საომარი ფონის მიუხედავად, ჩვენი ურთიერთობა უფრო მოწესრიგებული და საქმიანი გახდა.

**მედიანიუსი**

## „ეროვნული ფორუმი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსგან იმართება“

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივნის, გიორგი გუგავას განცხადებით, ლეიბორისტები 27 სექტემბერს „ეროვნული ფორუმის“ მიერ დაგეგმილ „ქართველთა მარშში“ მონაწილეობას არ აპირებენ.

როგორც გუგავამ „მედიანიუსს“ განუცხადა, „ეროვნული ფორუმი“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსაგან იმართება და მის დაკრულზე ბუქნაობს.

— იმ პოლიტიკურ ძალასთან ერთად, რომელმაც ხელი არ მოაწერა ლეიბორისტული პარტიის ინიციატივას დამნაშავე სააკაშვილის სამართლებრივი იმპიჩმენტის შესახებ, რომელიც ასევე, სამწუხაროდ, იმართება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსაგან, მოქმედებს აშშ-ს საელჩოს ინსტრუქციის შესაბამისად და მის დაკრულზე ბუქნაობს, ჩვენ არა თუ მარშზე გასვლას, არამედ ერთ აუდიტორიაში გამოსვლასაც კი არ ვისურვებდით, — აღნიშნა გუგავამ და დასძინა, რომ იგი ამ განცხადებაში მარტო „ეროვნულ ფორუმს“ არ გულისხმობს.

— ამას ვამბობ „ეროვნულ ფორუმზეც“ და იმ სხვა ძალებზეც, რომლებიც მხილებულები არიან იმ საქმიანობაში, რაზეც მე უკვე მოგახსენეთ, — განაცხადა გუგავამ.

**მედიანიუსი**

# კონსტანტინე გამსახურდია: „ამ ქვეყანას ოპოზიცია არა ჰყავს“

ნათია ხურცილავა

რატომ წავიდა პოლიტიკიდან დიპლომატიურ საქმიანობაში? ამ საკითხებზე საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირში და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში **კონსტანტინე გამსახურდიას** ვესაუბრეთ:

***— როგორ შეეგუეთ დიპლომატიურ საქმინობას? საკმაოდ განსხვავდება პოლიტიკოსის საქმისგან...***

— ახლა ვარ გარდამავალ პერიოდში. დიპლომატიური საქმიანობა განსხვავდება პოლიტიკური საქმიანობისგან, მეტადრე ოპოზიციური პოლიტიკური საქმიანობისგან. თავისთავად ჩემს ამოცანებში ძალიან ბევრი საკითხი შედის.

***— რა ამოცანებია თქვენი საქმიანობის წინაშე?***

— მაგალითად, გარდა საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობისა, ჩემი მუშაობა ითვალისწინებს დეოკუპაციაზე მუშაობას, ინვესტიციების მოზიდვაზე მუშაობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ინსტანციებთან. ამავე დროს, რასაკვირველია, ურთიერთობა როგორც ქართულ დიასპორებთან, ისე ჩვენთვის საინტერესო კავკასიურ დიასპორასთან. ეს არის ის, რისთვისაც მე ვემზადები. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც გადავდგი.

***— ოფიციალურად დაიწყეთ საქმიანობა, თუ გქონდათ ოფიციალურ დონეზე შეხვედრები?***

— რა თქმა უნდა, შეხვედრები იყო. ეს არის უფრო მოსამზადებელი შეხვედრები. ინტენსიური ურთიერთობა მაქვს საქართველოს ელჩთან შვეიცარიის კონფედერაციაში, ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილთან.

***— თქვენს პარტიაზე რომ გვითხრათ...***

— პარტია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, კვლავინდებურად არსებობს. პარტიის მხოლოდ საპატიო თავმჯდომარე ვარ. რეალურად პარტიას არ ჰყავს თავმჯდომარე. ჰყავს ბორდი.

***— არჩევითი ორგანო მართავს პარტიას?***

— დიახ, ბორდი არჩევითი ორგანოა, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელი. პარტიაში არიან ის ადამიანები, რომლებიც ჩემი თანამებრძოლები იყვნენ, რა თქმა უნდა, ისინი დღესაც ჩემს მეგობრებად რჩებიან.

***— გავრცელებული ხმები, რომ პარტია „თავისუფლება“ დაიშალა, სიმართლეს არ შეესაბამება?***

— რა თქმა უნდა, არა. ეს იყო ჩვეულებრივი იაფფასიანი ვითომ პიარის მაგვარი რამ. მე ვიტყოდი იაფფასიანი კვაზი პიარი. სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. მართალია ხალხი იმდენი არ იყო, მოგეხსენებათ ჩვენთან როგორ არის.

***— როგორ არის?***

— პარტიები რაღაცნაირად გვანან კახეთის გზაზე დამშრალი მდინარის კალაპოტებს. სხვათა შორის, იმ კალაპოტებში გაზაფხულობით საკმაოდ დიდი ღვარები და ნაკადები მოედინება ხოლმე.

***— მხოლოდ გაზაფხულზე?***

— დიახ, მხოლოდ გაზაფხულობით და შემდეგ ეს ღვარები და ნაკადები, რომლებიც საკმაოდ შემაშინებელ შთაბეჭდილებას ახდენენ გაზაფხულზე, შრება. როდესაც ზაფხულში კახეთისკენ მიმავალ გზაზე გაივლით, მართლაც დამშრალია. ასეა ჩვენი პარტიებიც ჩვენს რეალობაში.

***— პოლიტიკოსის საქმიანობა განსხვავდება დიპლომატის საქმიანობისგან, მაინტერესებს, სად უფრო კომფორტულად ხართ? ფიქრობდით, რომ ასე განვითარდებოდა თქვენი კარიერა?***

— ეს ცხოვრებაა და ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელია. რაც შეეხება კომფორტს, მე ყველგან კომფორტულად ვგრძნობდი თავს. სადაც ჩავთვლი, რომ ჩემი ქვეყნის საქმეს ვაკეთებ, იქ კომფორტულად ვგრძნობ თავს. ასე ვთვლიდი ოპოზიციაში ყოფნის დროს და ასე ვთვლი ახლა დიპლომატიურ სამსახურში ყოფნის დროს.




***— ბატონო კონსტანტინე, ოპოზიციაში არ გამოგივიდათ ის საქმე, რაც გინდოდათ, რამ მიგაღებინათ ეს გადაწყვეტილება?***

— მე ვფიქრობ, საერთოდ ოპოზიცია არ გამოვიდა ამ ქვეყანაში. ჯერჯერობით ვფიქრობ, რომ ეს მომავლის საქმეა. მე მჯერა, რომ ოპოზიცია გარკვეულ გამოცდილებას მიიღებს. სწორად შეაფასებენ განვლილ პერიოდს და ისეთ ნაბიჯებს გადადგამენ, რაც ქვეყანაში ესოდენ საჭირო და წყალივით საჭირო ოპოზიციას შექმნის. ოპოზიცია ყველა განვითარებულ, დემოკრატიიულ სახელმწიფოში და ცივილიზებულ ქვეყანაში არის. მე ვგულისხმობ ისეთ ოპოზიციას, რომელიც, მაგალითად, არის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში ან ამერიკაში. ბევრი ქვეყნის ჩამოთვლა შეიძლება ამ მიმართულებით.

***— თუმცა, იქამდე ხომ უნდა გავიაროთ გზა?***

— ძალიან დიდი გზა არის გასავლელი. სხვათა შორის, ცნობიერების შეცვლაც არის აუცილებელი.

***— ვისი ცნობიერება, საზოგადოების?***

— ჩვენი ცნობიერებაც უნდა შეიცვალოს. არ ვგულისხმობ ძალდატანებით შეცვლას ან რაღაცის უარყოფას, რაც კარგი გვაქვს იმის უარყოფის ხარჯზე კი არა, ნამდვილად არა. გარკვეული პოლიტიკური კულტურა უნდა შემოვიდეს.

***— როგორი უნდა იყოს ქართული ოპოზიცია?***

— არ უნდა იყოს გაუთავებელი კინკლაობა, ქიშპი. უფრო ადვილად უნდა თანხმდებოდნენ პოლიტიკოსები რაღაც-რაღაცეებზე და უფრო სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, ამერიკაში როდესაც დემოკრატები არიან ხელისუფლებაში, რესპუბლიკელები ოპოზიციაში არიან ან პირიქით. ან სხვა რომელიმე ქვეყანაში ორი-სამი პარტია ქმნის კოალიციაში ხელისუფლებას და დანარჩენები ოპოზიციაში არიან. ალბათ, ამ მაგალითზე უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა ოპოზიციაში ყოფნა. რას ნიშნავს ოპოზიციაში ყოფნა. რა თქმა უნდა, ეს განსაკუთრებულ პოლიტიკურ სიმწიფეს მოითხოვს. როგორც ჩანს, ეს ჩვენ არ გვქონდა, რადგან ძალიან მძიმე ისტორია გვაქვს გავლილი, 1992 წლიდან დაწყებული და იმ მოვლენებიდან, რომელიც მაშინ მოხდა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გასული, დამთავრებული.

***— ანუ ეს დაღს ასვამს ქვეყნის განვითარებასაც?***

— ბუნებრივია. ჩვენ მივდივართ იქითკენ, რომ ეს გადავლახოთ. ჩემი ერთ-ერთი მოტივაცია ამ სამსახურში წამოსვლის ესეც გახლდათ. ჩვენ უნდა გადავლახოთ მძიმე წარსული. ეს ერთად უნდა გავაკეთოთ ხელისუფლებამაც, ოპოზიციამაც და საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც არც ერთს და არც მეორეს პირდაპირ არ ემხრობოდეს.

***— ოპოზიციის ერთი ნაწილი 27 სექტემბერს გამოსვლას აპირებს, „ქართული მარში“ უკვე დაანონსდა. ეს რამეს მოიტანს, რა მოლოდინები გაქვთ?***

— ვნახოთ, არ ვიცი. დაანონსებები ძალიან ხშირად იყო, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ამ დაანონსებებს არ მოჰყოლია.

***— ანუ შედეგის მომტანი არ არის?***

— აქამდე რაც იყო, თუ იმ გამოცდილებიდან ვიმსჯელებთ, ერთადერთი შედეგის მომტანი, რამაც გარკვეული ცვლილებები ქვეყანაში მოიტანა, ეს იყო 2 ნოემბრის დიდი მიტინგი, რომელიც 2007 წელს ერთი თვით ადრე იყო დაანონსებული. ამას მოჰყვა გარკვეული მოვლენები, რომელმაც მე ვთვლი ქვეყანაში სიტუაცია დემოკრატიისკენ შეცვალა.

***— რა იყო 2 ნოემბრის აქციის მონაპოვარი?***

— მონაპოვარი იყო ის, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდა. შეიძლება ითქვას, მაშინ ჩვენ ხელისუფლებას დავეხმარეთ, რომ მას სწორად შეეფასებინა თავისი თავი, თავისი შესაძლებლობები. ხალხთან სხვა ტონში ესაუბრა. ეს მართლაც ასე მოხდა. ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა ვთქვა, რომ მათ სწრაფად ისწავლეს.

***— ისწავლეს?***

— დიახ, მათ ნამდვილად ისწავლეს. თუ ისწავლიან, მაშინ ოპოზიციონერი რატომ უნდა იყოს იმის წინააღმდეგი, რომ ხელისუფლებამ ისწავლოს. პირიქით, ის უნდა ცდილობდეს, უნდა ეხმარებოდეს ხელისუფლებას, რომ მან ისწავლოს. თვითონაც უნდა ისწავლოს ხელისუფლების როლში ყოფნა და ამის შემდეგ ის შეძლებს, რომ ჩაანაცვლოს ხელისუფლება, როგორც ამერიკაშია, გერმანიაშია, რომ ჩაანაცვლებენ სხვადასხვა პარტიები მმართველ პარტიას. ჩვენ თუ გვინდა რაღაცას მივაღწიოთ, ცივილიზებული ქვეყანა ვიყოთ და არა ქრონიკულად პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც ხან დაანონსებული რევოლუციებია, ხან კი ნამდვილი ქუჩის ბრძოლები და თავპირის მტვრევა.

***— რომ დაინიშნეთ დიპლომატიურ სამსახურში, პრეზიდენტს შეხვდით?***

— არა. პრეზიდენტს დიპლომატებთან ერთად შევხვდი.

***— ვაშაძემ თქვა, დიპლომატიას გაუჭირდებაო, რა იგულისხმა?***

— არა მგონია გაუჭირდეს, ჩვენ ყველა გამოწვევას თავს გავართმევთ. ახალგაზრდა სახელმწიფო ვართ და თითოეული წელი ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლად არსებობისა ბევრს გვასწავლის. თავისთავად კარგი ცხოვრება, დემოკრატია არ მოდის. ის მოდის წვალებით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველდღიური შრომით. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნების სწორად განსაზღვრას. პრიორიტეტების სწორად ჩამოყალიბებას.

***— განსაზღვრული არის?***

— განსაზღვრული ყოველთვის იყო, პრიორიტეტები სწორი იყო, მაგრამ არასწორი ნაბიჯები იდგმებოდა. ადრე იყო შეცდომები.

***— ახლა ნაკლებია?***

— ვფიქრობ, ნაკლებია. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მაგრამ არ მინდა ვინმეს ეს ოპტიმისტი ხბოს აღტაცება ეგონოს. ნამდვილად არ არის ასე. ეს არის ძალიან ზომიერი და ფრთხილი ოპტიმიზმი.

# ვიკილიქსი: შამბა რუსეთთან ომისთვის მზად იყო

თეა მარხვაი ე

**აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე ევროპა აქტიურად ჩაერთო საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტების დარეგულირებაში. იმ პერიოდში საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიდნენ ევროპელი დიპლომატები. საკმაოდ აქტიურობდა გერმანია. ყველას გვახსოვს საქართველოში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი და მისი ინიციატივები.**

გვახსოვს ისიც, როგორ ჩავიდა ირაკლი ალასანია სოხუმში. იმ პერიოდში მას გაეროში საქართველოს ელჩის თანამდებობა ეკავა. ალასანიას სოხუმური ვოიაჟი დღემდე ბურუსით არის მოცული. თუმცა მაშინ გაჩნდა იმედი, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მოგვარების კუთხით ბევრი რამე შეიცვლებოდა.

უკეთესობის მომლოდინე საქართველო რუსეთთან ომში აღმოჩნდა ჩართული. არადა, საქართველოში აშშ-ს ყოფილ ელჩ ჯონ ტეფტს თუ დავუჯერებთ, რუსეთთან ომს აფხაზები, კონკრეტულად კი სერგეი შამბა აპირებდა.

ამასთან დაკავშირებით სკანდალურმა „ვიკილიქსმა“ მორიგი მასალა გამოაქვეყნა, რომელსაც „ჯი-ეიჩ-ენ“-ი გვთავაზობს.

ტეფტი წერს, რომ 2008 წლის გაზაფხულზე აფხაზი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას კოსოვოს აღიარებისათვის დასავლეთის მხარდაჭერის პასუხად აღიარებდა. ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს მაშინდელმა გაეროს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა ჟან არნომ აცნობა.

მისი აზრით, აფხაზების გულისწყრომის ოდნავ გასაქარწყლებლად რუსეთმა ეკონომიკური სანქციების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, ასევე რუს სამშვიდობოთა რაოდენობა აფხაზეთში გააორმაგა.

ამ მოქმედებებმა თბილისის გააქტიურება გამოიწვია. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის დარეგულირების ახალი გეგმა წარადგინა და აფხაზებს ფართო ავტონომია, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა და თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა შესთავაზა. აღნიშნული გეგმა მოსკოვმა უარყო, მოგვიანებით აფხაზეთმაც, თუმცა დაიწყეს გადასინჯვა თბილისთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყების ვარიანტებისა.

ამერიკელ და ევროპელ დიპლომატებთან შეხვედრისას სერგეი შამბამ დასავლეთის მიდგომები გააკრიტიკა და დაიჩივლა იმაზე, რომ ისინი არავითარ ალტერნატივას არ სთავაზობენ მათ.

ჯონ ტეფტი წერს, რომ „შამბამ განაცხადა, რომ თუკი რუსეთი როდესმე შეეცდება, ღიად მოახდინოს რეგიონის ანექსია, აფხაზეთი იარაღს მოკიდებს ხელს და მასთან ერთად იბრძოლებენ მისი მოკავშირეები ჩრდილოეთ კავკასიიდან“.

ამავე დროს, დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ შამბას არასოდეს მიუცია თავისი თავისათვის უფლება, ღიად და საჯაროდ განეცხადებია მსგავსი რაღაცები.

დოკუმენტებში ასევე ნათქვამია, დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებისა და აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს სერგეი ბაღაფშს შორის არსებული მოლაპარაკებების შესახებ.

მათი მონათხრობით, ბაღაფში თავდაპირველად წინააღმდეგი იყო, ქართულ მხარესთან კონტაქტზე გასულიყო, მაგრამ მერე ამაზე თანხმობა განაცხადა. მისი მთავარი წინასწარი პირობა იყო ქართული სპეცდანიშნულების რაზმის გაყვანა კოდორის ხეობიდან. მოგვიანებით იგი იმასაც დასთანხმდა, რომ კოდორის ხეობაში ქართული და აფხაზური პოლიციის ძალები ევროკავშირის ან გაეროს ახალი პოლიციური მისიით ჩანაცვლებულიყო. ამასთან ერთად, მოუწოდებდა ევროპას „აჩქარებულიყო“ და რუსეთზე მიანიშნებდა, რომელიც მოქმედებდა სწრაფად, აფხაზეთში თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრებისათვის.




რამდენად შეეფერება ტეფტის წერილში მოყვანილი მასალები სიმართლეს, ძნელი გასარკვევია. თუმცა ფაქტია, რომ მაშინ პროცესები ძალიან საინტერესოდ და უცნაურად განვითარდა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ეს საქართველოსთვის ცუდად დასრულდა.

შამბას ანტირუსული განცხადებები ღიად არასდროს არ გაუკეთებია. უფრო მეტიც, ის რუსეთისთვის მისაღები კანდიდატი იყო. აგვისტოს დამლევს ჩატარებულ არჩევნებში კრემლი სწორედ მას უჭერდა მხარს. ყოველ შემთხვევაში ექსპერტები ასე ვარაუდობდნენ.

რაც შეეხება სერგეი ბაღაფშს, ის ყოველთვის ცდილობდა რუსეთისთვის ერთგულება დაემტკიცებინა. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, ის მოსკოვში იყო. სადაც განაცხადა, რომ მოსკოვი მისი დედაქალაქია.

საქმით კი, როგორც ამბობენ, ბაღაფში სხვას აკეთებდა. ის ცდილობდა აქტიური კონტაქტები დაემყარებინა თურქეთთან, რათა აფხაზეთი მარტო მოსკოვზე არ ყოფილიყო მიბმული.

ყველას კარგად ახსოვს, რა ამბები ატყდა რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის დემილიტაციის დროს. რუსეთი გაგრის დიდ ნაწილზე აცხადებდა პრეტენზიას. როცა ეს მოლაპარაკებები მიდიოდა, ბაღაფში შვებულებაში წავიდა 2 კვირით. აფხაზური მედია წერდა, რომ ბაღაფშმა თქვა: „გადავდგები, მოვკვდები, მაგრამ არც ერთ სანტიმეტრს არ დავთმობ“.

ამ ამბებიდან 2 თვის თავზე სერგეი ბაღაფში გარდაიცვალა. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რუსულ პრესაში ბევრი დაიწერა. ამტკიცებენ, რომ ბაღაფში მოკლეს. რუსულ მედიას ისიც საეჭვოდ მოეჩვენა, რომ ისრაელში სამკურნალოდ მიმავალი ბაღაფში ოპერაციის გასაკეთებლად მოსკოვში წაიყვანეს და ძალიან უბრალო საავადმყოფოში მოათავსეს.

შედით საიტზე atb.ge „%!!

## ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერიების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** დაიბადა 1975 წლის 8 აგვისტოს თბილისში. 1992-1993 წლებში სწავლობდა არისტოტელეს სახელობის



ქართულ-ბერძნულ უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე.

1992-93 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურში.

1993 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1998 წელს.

1997-98 წლებში მუშაობდა ამერიკის იურისტთა ასოციაციაში დირექტორის თანაშემწედ. იღებდა მონაწილეობას საქართველოს სასამართლოს რეფორმის მომზადებაში.

1998 წლიდან მუშაობდა აშშ საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში საქართველოს პროგრამის კოორდინატორად, 2001-2008 მუშაობდა პოლიტიკური პროგრამების დირექტორად.

1998-2008 წლებში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა დონის საარჩევნო კამპანიების კონსალტინგში და მენეჯმენტში ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოში, უნგრეთში, ლატვიაში, რუსეთში, თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

2009 წლის 6 თებერვალს დაინიშნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად.

2009 წლის 7 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად.

ჰყავს მეუღლე ანა და ორი შვილი ნიკოლოზი და სოფიო.

2011 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, განათლების მინისტრს ეკუთვნის მიწის ნაკვეთი თბილისში, წერნაკის ქუჩა №5, რომლის ფართობიც 294.0 კვ.მ.-ია.

დიმიტრი შაშკინს ეკუთვნის ასევე რობაქიძის ქუჩა №2 მდებარე საცხოვრებელი ბინა. მინისტრის ბინის ფართი 166.0 კვ.მ.-ია.

საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გააჩნია მინისტრის მეუღლე ანა შაშკინასაც.

ანა შაშკინა ფლობს მიწის ნაკვეთს წერნაკის ქუჩა №4-ში. რომლის ფართობიც 248 კვ.მ.-ია.

მასვე ეკთვნის წერნაკის ქუჩაზე №4 მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომლის ფართიც 257 კვ. მ.-ია.

ქონებრივ დეკლარაციაში მინისტრს უწერია, რომ მას ეკუთვნის „ცმ ენგკუპ" მარკის მსუბუქი ავტომობილი.

არც განათლების მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ ფასიან ქაღალდებს.

„თი-ბი-სი" ბანკში მინისტრის მიმდინარე ანგარიშზე ქონებრივი დეკლარაციის შევსების მომენტში ირიცხებოდა 150.0 ევრო.

რესპუბლიკა ბანკში სახელფასო ანგარიშზე დეკლარაციის თანახმად ერიცხებოდა 250.0 ლარი.

საქართველოს ბანკში საკრედიტო ანგარიშზე ერიცხება 2100.0 დოლარი.

საქართველოს ბანკში მას სხვა საკრედიტო ანგარიშიც აქვს. ამ ანგარიშზე შაშკინს 400.0 დოლარი ერიცხება.

„ტაოპრივატბანკში" გახსნილ საკრედიტო ანგარიშზე შაშკინს 10000.0 დოლარი ერიცხება.

2011 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, არც შაშკინი და არც მისი ოჯახის წევრები არ მონაწილეობენ სამეწარმეო საქმიანობაში.

2010 წელს შაშკინმა, როგორც განათლების მინისტრმა, ჯამაგირის სახით აიღო 70800.0 ლარი.

გასულ წელს, არც მინისტრს და არ მისი ოჯახის წევრებს არ მიუღიათ საჩუქარი, რომლის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს.

ვერაფერს იტყვი, მინისტრის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად შაშკინის ქონება საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება.

საინტერესოა ისიც, რომ ოპოზიცია ხელისუფლების სხვა წევრებისგან განსხვავებით შაშკინის წილებზე არ საუბრობს.

მათ შაშკინთან სხვა პრეტენზიები აქვთ. ოპოზიციას და ექსპერტების დიდ ნაწილს არ მოსწონს მანდატურების ინსტიტუტი.

ეს ინსტიტუტი შაშკინმა სკოლებში განათლების მინისტრად დანიშვნის შემდეგ დაამკვიდრა.

თავიდან ამას მშობლები და მასწავლებლებიც მტრულად შეხვდნენ. თუმცა ახლა ყველა კმაყოფილია. ყოველ შემთხვევაში, დიმიტრი შაშკინი ასე ამბობს.

სხვა მინისტრებისგან განსხვავებით, შაშკინი ოპოზიციას დიდად არ აღიზიანებს. ალბათ იმიტომ, რომ სხვა ჩინოვნიკებივით საჯაროდ არ აკრიტიკებს და, მით უმეტეს, არ ლანძღავს ოპოზიციონერებს.

ჩვენი განათლების მინისტრი სკანდალური პორტალ „ვიკილიქსის" ყურადღების ცენტრშიც მოექცა. „ვიკილიქსის" ცნობით, შაშკინის საქართველოში ამერიკის ელჩისთვის უთქვამს, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი შეიძლება დავით ბაქრაძე იყოსო.

# გიორგი გუგავა: „2003 წლიდან დღემდე 1.200 სკოლა გაიყიდა"

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია უპირისპირდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინის გადადგომას მოითხოვს.**

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ პოლიტიკა, რომელსაც შაშკინი და სააკაშვილი ატარებენ განათლების სფეროში ქართველი ერის ანგლიკანიზაციას და ქართველების მომსახურე ერად ჩამოყალიბებას ემსახურება.

— სამწუხაროდ, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობს შაშა-კოლა მინისტრი, რომელიც ამერიკელების დავალებით სპეცსამსახურის საშუალო რანგის ოფიცერიც არის. შაშკინი ახორციელებს ანტიეროვნულ პოლიტიკას, ანგლიკანიზაციის პოლიტიკას, რომლის შესაბამისადაც ჩვენი შვილები, სამწუხაროდ, მოკლებული არიან მიიღონ ნორმალური, თუნდაც საშუალო განათლება. იმიტომ, რომ მასობრივად იყიდება, იხურება სკოლები. იცით, რომ 2003 წლიდან დღემდე დახურული და გაყიდულია 1 200 სკოლა 3 000-დან. ასევე 20 000-მდე მასწავლებელი გაყრილია სკოლიდან. ასევე კატასტროფულად არის გაძვირებული როგორც სკოლის სახელმძღვანელოები, ასევე სასკოლო ინვენტარი, რომელიც აუცილებელია და საჭირო ბავშვისათვის. ამის გამოა, რომ სწორედ მასობრივად მშობლებს არა აქვთ საშუალება სრულყოფილი განათლება მიაღებინონ საკუთარ შვილებს, — განაცხადა გუშინ ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ.

მისი თქმით, ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ამ ქვეყანაში ჩვენი შვილები, თითოეული ჩვენთაგანი გადაგვაქციონ მომსახურეებად, ხოლო ბატონები ამ ქვეყანაში იქნებიან აბსოლუტურად სხვები.

შალვა ნათელაშვილის თანაპარტიელის განცხადებით, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ანგლიკანიზაციის პროცესი მიმდინარეობს შეგნებულად და მიმდინარეობს ქართული ენის ხარჯზე.



გიორგი გუგავა

— რაც არ გაუკეთებია რუსეთის იმპერიას, ის გააკეთეს დღეს — პირველი კლასიდან დააწყებინეს არა მშობლიური ენის სწავლება, არამედ ინგლისური ენის სწავლება. ცნობილია, რომ რა ენაზეც იწყებს სწავლებას და მეტყველებას ბავშვი, იმ ენის და იმ კულტურის საკუთრებაა. ფაქტია, რომ დღეს შაშკინის წყალობით ქართული ანუ მშობლიური ენა არის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, სამაგიეროდ, წარმატებულად ითვლება ის ადამიანი, ვინც ფლობს ინგლისურს, კომპიუტერს და ეს ხდება საქართველოში, სადაც სახელმწიფო ენა არის ქართული, — განაცხადა გიორგი გუგავამ და კიდევ ერთხელ დააკონკრეტა, რომ ეს ყოველივე ემსახურება იმას, რომ ყოველივე ჩვენგანი მომსახურეებად გადაგვაქციონ.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტული პარტია პირველი იყო, რომელმაც ხმა ამოიღო იმ რეფორმაზე, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლის დღიდან განათლების სისტემაში ხორციელდება და რომელიც როგორც განათლების სფეროს გამოკვეთილი წარმომადგენლები და უნივერსიტეტის პროფესურა აცხადებდა წლების მანძილზე, არა განათლების დონის გაუმჯობესებას, არამედ პირიქით, ეროვნული განათლების მოსპობას და უმაღლესი განათლების დაბალ დონეზე დაწევას ემსახურება.

ლეიბორისტული პარტია მუდმივად აპროტესტებდა სკოლებისა და ბაგა-ბაღების გაყიდვას და სააკაშვილის ხელისუფლებას ბავშვების ხარჯზე გამდიდრებაში ამხელდა.

# უგულავა ბიუჯეტს საარჩევნო კამპანიისთვის იყენებს

შორენა კოწოწაშვილი

**თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი თინა ხიდაშელი დედაქალაქის მერს გიგი უგულავას უპირისპირდება და მას თბილისის ბიუჯეტის საარჩევნო კამპანიისთვის ხარჯვაში ადანაშაულებს.**

როგორც გუშინ „ვარდების რევოლუციის" მოედანზე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რამდენიმე დღის წინ თბილისის მერიამ 2011-2012 წლებში სხვადასხვა



თინა ხიდაშელი

ღონისძიებების სცენებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიოროებით, კოსტიუმებით, დამატებით გამოცხადებულია ტენდერები ბიოტვალეტებით და დამცავი ჯებირებით უზრუნველყოფის მიზნით. მთლიანად კი დედაქალაქის მერიამ, ხიდაშელის თქმით, 3,5 მლნ ლარის ტენდერები გამოაცხადა.

— 2012 წლის არჩევნების წინ დედაქალაქის მერია მმართველი მერიისა და კანდიდატების საარჩევნო კამპანიას საბიუჯეტო სახსრებით უზრუნველყოფს და თან ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც სწორედ მერიის ინიციატივით თბილისელებს წყლის, ტრანსპორტისა და ნაგვის გადასახადი გაუძვირდათ. დედაქალაქის ბიუჯეტიდან საბავშვო ბაღების დაფინანსებისთვის 4 200 000 ლარი უნდა გამოყოფილიყო. გიგი უგულავას გადაწყვეტილებით, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ბაღები ფასიანი გახდა და შესაბამისად, ამ თანხის მობილიზება საარჩევნო კამპანიას უზრუნველყოფს, — განაცხადა დედაქალაქის საქმეთა მდივანმა რესპუბლიკური პარტიიდან თინა ხიდაშელმა და მერიისგან ტენდერების დასრულებამდე დეტალური გეგმის გამოქვეყნება მოითხოვა.

ხიდაშელი მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივია ქალაქის მერის მიერ მსგავსი მრავალმილიონიანი დანახარჯების გაწევა, რომელიც მხოლოდ უგულავას კერძო, ვიწროპარტიულ ინტერესებს უკავშირდება და არაფრით არ უწყობს ხელს მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას, რომელიც სიღარიბის ზღვარზეა.



— ნაცვლად იმისა, რომ მოსალოდნელი მძიმე ზამთრის წინ თბილისის მერია ტენდერებს აცხადებდეს მოსახლეობის იმ ნაწილის გაზით უზრუნველყოფაზე, ვისაც ამგვარი მომსახურება ჯერ არ აქვს, ხოლო უარი თქვას საბავშვო ბაღებში უსამართლო გადასახადის შემოღებაზე, საბიუჯეტო რესურსი მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე წარმართოს ან სხვა მსგავსი ტიპის ღონისძიებები დააფინანსოს, ქალაქის მერია გართობით და პარტიული პიარკამპანიების საბიუჯეტო დაფინანსებით უზრუნველყოფით არის დაკავებული. მოვითხოვთ, ქალაქის მერიამ ტენდერის დასრულებამდე გამოაქვეყნოს დეტალური გეგმა, დაგვისაბუთოს და მოსახლეობას ამგვარი ღონისძიებების აუცილებლობა განუმარტოს, — აღნიშნა ბოლოს თინა ხიდაშელმა.

## ზესტაფონის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი

ზესტაფონის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულ ოთარ კაპანაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგა. კაპანაძეს ბრალი სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანებისა და ქონების განადგურების მუქარაში ედებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ნინო რ-სთან, რომელიც მას ფინანსურად ეხმარებოდა. ნინო რ-სგან გარკვეული თანხების მიღებას ოთარ კაპანაძე ამ უკანასკნელის საბერძნეთში გამგზავრების შემდეგ აგრძელებდა. ყოფილ შეყვარებულებს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბრალდებულმა ცოლი შეირთო. ნინო რ-ს დედამ ოთარ კაპანაძისაგან ფულის დაბრუნება მოითხოვა, რასაც ბრალდებულმა დანის გამოყენებით მუქარით უპასუხა.

ზესტაფონის საქალაქო სასამართლომ სრულად გამოიკვლია მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ საქმეში არ არსებობდა კაპანაძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოსამართლემ ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა.

# „სამშობლო“ პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდება


გამომცემლობა „სამშობლო“

როგორც ცნობილია, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა აუქციონზე რამდენჯერმე გაიტანეს, მაგრამ მისი გასხვისება ვერ მოხერხდა. მისი პირველი აუქციონი ჯერ კიდევ 2006 წლსი 3 მარტს უნდა გამართულიყო, მაგრამ ის განაცხადების არარსებობის გამო ჩაიშალა. მისი ბოლო აუქციონი კი მიმდინარე წლის 18 ივლისს დაინიშნა, სადაც ობიექტის საწყის გასაყიდ ფასად 200 000 ლარი განისაზღვრა, მაგრამ მისი პრივატიზება კვლავ განაცხადების არარსებობის გამო ვერ მოხდა.

გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა პირდაპირი მიყიდვის წესით კომპანია „სითი ლოფტზე“ გასხვისდება. შესაბამის გადაწყვეტილებაზე მთავრობამ უკვე იმსჯელა.

აღნიშნული კომპანია 2011 წლის 8 სექტემბერს დაფუძნდა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი სამეწარმეო რეესტრში დაჩქარებული წესით დაფუძნების დღესვე გატარდა. რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, კომპანიის დირექტორია ევგენი დავითაია, ხოლო 100-პროცენტიანი წილის მფლობელი გიორგი ჩხეტია.

„სამშობლო“ თბილისში, კოსტავას ქუჩა №14-ში მდებარეობს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ლაპარაკია სულ 8 447 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობებზე.

„სამშობლოს“ გასხვისების გადაწყვეტილება ოპოზიციის მიერ ხელისუფლების კრიტიკის საგნად დღემდე რჩება.

**მედიანიუსი**

# სლოვენიაში ბაქრაძემ რუსეთი გააკრიტიკა

**ნანა მიშელაშვილი**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა — ეს იყო ის ძირითადი საკითხები, რაზეც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ სლოვენიაში ვიზიტისას გაამახვილა ყურადღება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სლოვენიის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტს, ლიუბო გერმიჩს შეხვდა. მათ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე ისაუბრეს. მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანაში მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. ლიუბო გერმიჩის ინიციატივით, სლოვენიის ეროვნულ ასამბლეაში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი შეიქმნება.

შეხვედრის დასასრულს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სლოვენიის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია.

სლოვენიაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრს სამუელ ჟბოგარსაც შეხვდა. საუბარი შეეხო რუსეთ-


დავით ბაქრაძე და ლიუბო გერმიჩი

საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდომარეობას.

დავით ბაქრაძემ სამუელ ჟბოგარს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა დღეისათვის არსებულ მდგომარეობაზე და აქვე მადლობა გადაუხადა სლოვენიის მთავრობას ევროპის კავშირის დამკვირვებლების სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის გამო.

ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა სლოვენიის მხრიდან ღია მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციის პროცესში. გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს საქმიანი ვიზით ეწვევა.

# „ქრისტიან-დემოკრატები“ სოფელ სააკაძეში სკოლის დახურვას აპროტესტებენ

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერი ინგა გრიგოლია დღეს სოფელ სააკაძეში მოსახლეობას შეხვდა და ერთადერთი საჯარო სკოლის დახურვა გააპროტესტა.

— ხალხი გაოგნებულია. 15 სექტემბერს ბავშვები სკოლაში მიიყვანეს და კარი დაკეტილი დახვდათ. ალბათ, ამას


ინგა გრიგოლია

ეძახის პრეზიდენტი ხალხზე მზრუნველი ხელისუფლების დამოკიდებულებას..დღეს სააკაშვილმა იკითხა ვარდების რევოლუციამდელი ბავშვი რატომ იყო გონებაჩლუნგიო... მას, რომ ჰკითხოთ, საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება, არადა ამაზე მეტი ჩამორჩენილობა რა გინდათ - დახურო სკოლა, სადაც ბავშვები სამი სოფლიდან დადიოდნენ, ახლა კი ყოველდღიურად ათეულობით კილომეტრის გავლა მოუწევთ, — განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

როგორც „ქრისტიან-დემოკრატებს“ სააკაძის მცხოვრებლებმა განუცხადეს, სოფელი გარდაბნის რაიონს ეკუთვნის, სკოლა კი მარტყოფის გამგეობის დაქვემდებარებაში იყო. სკოლაში 40-მდე მოსწავლე სწავლობდა და მათ სწავლის გაგრძელება მარტყოფის სკოლაში მოუწევთ, რომელიც სოფელს 22 კილომეტრითაა დაშორებული.

**მედიანიუსი**

# საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობა გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 102.3 მლნ აშშ დოლარი, ანუ 168.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 20.8 მლნ აშშ დოლარით (34.3 მლნ ლარით), ანუ 25.5 პროცენტით მეტია 2010 წლის აგვისტოს ანალოგიურ მაჩვენებელზე.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 91.1 პროცენტი იმ 10 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე (რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, უკრაინა, თურქეთი, ესპანეთი, ინდოეთი, ისრაელი, გერმანია) მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აგვისტოში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 10 ქვეყანაზე გასული წლის აგვისტოში მთელი ფულადი გზავნილების 91.6 პროცენტი მოდიოდა.

2011 წლის აგვისტოში საქართველოდან საზღვარგარეთ 7.6 მლნ აშშ დოლარი (12.5 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 6.3 მლნ აშშ დოლარის (11.6 მლნ ლარი) გასული წლის აგვისტოში

**მედიანიუსი**

# რუსუდან კერვალიშვილი: „ბავშვები უმამოდ აღარ უნდა გაიზარდონ“

**დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში, მამობის დადგენის საკითხს პარლამენტი ახლებურად არეგულირებს. პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი აცხადებს, რომ ახალი კანონპროექტი პირველ რიგში ბავშვთა უფლებების დაცვიდან გამომდინარეობს, რადგან არ არსებობს უკანონო ადამიანი.**

**ახალი კანონპროექტის მიხედვით, სასამართლოს მიერ დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის საკითხის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიოლოგიურ ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევას.**

**რუსუდან კერვალიშვილის განცხადებით, მშობლები, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის საჭიროა და ყველა ბავშვს აქვს უფლება ჰყავდეს ოროვე მშობელი. კერვალიშვილის თქმით, დედას უფლება აქვს ბავშვი არ დატოვოს კანონგარეშე, მამის გარეშე.**

**„ახალი თაობა“ რუსუდან კერვალიშვილს ესაუბრა.**


რუსუდან კერვალიშვილი

**ნანა მიშელაშვილი**

***— რამ განაპირობა ამ კანონის მომზადება და რამდენად პრობლემატურია დღეს ე.წ. უმამო ბავშვების საკითხი?***

— არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით ეროვნული ძალადობის ქსელი, ამ საკითხზე წლების განმავლობაში მუშაობს. ის მონაცემთა ბაზა, რაც ჩვენს ქვეყანაშია შემაშფოთებელია. ძალიან ბევრია ე.წ. უმამო ბავშვები საქართველოში და მარტო დედას უწევს საკმაოდ მძიმე ტვირთის გაძლოლა. მშობლები, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის საჭიროა და ყველა ბავშვს უფლება აქვს ჰყავდეს ორივე მშობელი. სასამართლო მიმართვიანობის პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ძალიან ხშირად მამობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა რთულია, რადან აუცილებელია მოწმეთა, მეზობლების ჩვენება, რომლებიც ამბობენ, რომ მართალია დაუქორწინებელი წვილია, მაგრამ ისინი ერთობლივ მეურნეობას ეწეოდნენ, რაც ხშირად სიმართლეს არ შეესაბამება. იყო შემთხვევები, როდესაც ქალები, რომლებიც მარტო რჩებიან თავის უდიდეს პრობლემასთან, არ ეწეოდნენ ერთობლივ მეურნეობას იმ ადამიანთან ერთად, რომელიც მათი ბავშვის მამაა. რადგან ბავშვს უფლება აქვს ორივე მშობელი ჰყავდეს, სახელმწიფოს ვალდებულება აქვს კანონის ფარგლებში მოაქციოს ბავშვის მდგომარეობა და ბავშვისა და ერთი მშობლის მოთხოვნა, რომ დადგენილი იქნას მეორე მშობლის ვინაობა. ის მტკიცებულებები, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან გვქონდა გადმოყოლილი, არ არის საკმარისი. დღეს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მიღებულია გენეტიკური, ანთროპოლოგიური, დნმ-ის ანალიზი, რაც ჭეშმარიტებასთან ახლოს მიახლოებულია. თუ პარლამენტი ამ კანონს მიიღებს, საქართველო გაიზიარებს იმ პრაქტიკას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა გაუადვილდეს მამობასთან დაკავშირებით. ეს პრევენციული კანონია, როდესაც მამაკაცმაც და ქალმაც სარჩელის შეტანის წინ უნდა გაითვალისწინოს თავის სიმართლე. ეს არ არის მხოლოდ ბავშვისა და ქალის დამცველი კანონი, ეს არის მამობის უფლების დამდგენი კანონი. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველა მამას უფლება აქვს იცოდეს თავისი შვილის შესახებ და ეს კანონი ამას ითვალისწინებს. თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცს ეჭვი ეპარება გარკვეულ სიტუაციებთან დაკავშირებით, დაადგინოს თავის მამობა. გადაწყვეტილება უპირატესად, ყოველთვის გამოტანილი იქნება ბავშვის ინტერესების შესაბამისად, რადგან ამ ვითარებაში ყველაზე დაუცველი ბავშვია.

***— ამ კანონის მიღებით ბევრი პრობლემა გადაწყდება?***

— არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ კანონის მიღებით ყველა პრობლემა გადაწყდება. ერთადერთი რამ გადაწყდება — დედას უფლება აქვს ბავშვი არ დატოვოს კანონგარეშე, მამის გარეშე.

***— როგორია საქართველოში არსებული პრაქტიკა, მამები ხშირად მიმართავენ სასამართლოს, რომ ბავშვის მამობა იქნეს დადგენილი თუ უფრო ხშირად ქალები მიმართავენ?***

— დაუცველი შესაძლოა დღეს ერთნაირად არის ორივე, მაგრამ ქალს ორმაგი ტვირთი აწევს. ზოგჯერ საუბარია, რომ ბავშვი დედამ მიატოვა, ბავშვთა სახლში ჩააბარა, დედამ კი არ მიატოვა, დედ-მამამ მიატოვა. დედ-მამა თანაბარი უფლების მქონეა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კაცებსაც აქვთ გარკვეული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ჭეშმარიტება და ნამდვილობა თავის მამობის დაადგინონ. აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია იმის გამორიცხვა, რომ მამებს არ ექნებათ ის ინტერესი, დაადგინონ თავიანთი მამობა, რადგან მეურვეობის უფლება ორივე მშობელს აქვს.

***— როგორია 2010 წლის სტატისტიკა ამ კუთხით?***

— კატასტროფული სტატისტიკაა. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, 2010 წელს, 2400 ბავშვი გამოყვანილია სამშობიაროდან ერთი მშობლის მიერ, ეს ნიშნავს, რომ მას ჰყავს დედა.

***— ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია?***

— საქართველოსთვის უდიდესი მაჩვენებელია.

***— მამაკაცების პოზიცია როგორია ამ ახალ კანოპროექტთან დაკავშირებით?***

— ჯერჯერობით, ყველა ადამიანი იზიარებს ამ დამოკიდებულებას. მიმაჩნია, რომ რთული საკითხია დნმ-ის ანალიზის თანხის გადახდის საკითხი. ადამიანი, რომელსაც არ უნდა ბავშვის მამობა, იმას, ცხადია, არც ის არ უნდა, რომ დნმ-ის ანალიზში თანხა გადაიხადოს, მაგრამ მას აქვს დათანხმების უფლება. კაცს შეუძლია არ გადაიხადოს ანალიზის თანხა და აღიაროს თავის უმაღლესი უფლება, რომ არის მამა.

***— დნმ-ის ანალიზის ჩატარება დაახლოებით რა თანხა დაჯდება?***

— ჩემი ინფორმაციით, ეს საკმაოდ ძვირი თანხა ჯდება, 1500-1600 ლარის ფარგლებში მერყეობს. ამ ვალდებულებას ის მხარე გაიზიარებს, რომელიც ბავშვს აზარალებს.

***— კანონპროექტი, პირველ რიგში, ბავშვთა უფლებების დაცვიდან არის გამომდინარე?***

— დიახ, პირველ რიგში, ეს არის ბავშვთა უფლებების დაცვა, რადგან არ არსებობს უკანონო ადამიანი!

***— ამ კანონის მიღების შემდეგ უკანონო ბავშვების თემა წარსულს ჩაბარდება?***

— იმედი მაქვს, რომ წარსულს ჩაბარდება. ეს მეტად მტკივნეული საკითხია. ყველა ბავშვი, რომელიც ჩნდება, უფლება აქვს დედ-მამა ჰყავდეს და ჰარმონიულად იზრდებოდეს.

***— ეს ცვლილებები რომელი ქვეყნის გამოცდილებასთან არის ახლოს?***

— ყველაზე მეტად ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ცდილობს მიუახლოვდეს ევროპულ კანონმდებლობას. აღნიშნული კანონი მიღებულია ამერიკასა და ევროპაში. ძალიან საინტერესოა ინგლისის კანონმდებლობა. ეს არის მრავალმხრივი საკითხი, რომელთანაც მრავალი ასპექტია დაკავშირებული. მამაშვილობა, დედაშვილობა, ჩვენი არსებობის ძირითადი მიზანია.

***— უარყოფითი პოზიცია თუ გამოითქვა ამ საკითხის განხილვის დროს?***

— ჯერჯერობით უარყოფითი პოზიციები არ გამოთქმულა, არის ბევრი კითხვა, რომელიც საპარლამენტო განხილვის დროს იქნება განმარტებული და გაანალიზებული.

***— კითხვები ძირითადად რაზე ჩნდება?***

— ფინანსებთან დაკავშირებით, ძირითადად დნმ-ის ანალიზის ჩატარების თანხებზე.

***— რაც შეეხება იმას, როდესაც დედა ხელოვნურად აჩენს ბავშვს, ასეთ შემთხვევებში რა ხდება?***

— ეს ძალიან რთული საკითხია, რომელიც საკანონმდებლო ჩარჩოში არ არის გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით არანაირად არ გაგვაჩნია პოზიცია. ის ადამიანი, ვინც ამ საქმიანობას ეწევა, ანუ ე.წ. დონორმა, ერთ წელიწადში, შესაძლოა რამდენიმე ბავშვი გააჩინოს. ეს ძალიან ბევრ პრობლემებს იწვევს. დონორისგან შესაძლოა ერთ წელში რამდენიმე ქალის განაყოფიერება მოხდეს, რაც ძალიან რთული შემთხვევაა. მე ამასთან დაკავშირებით პასუხი მზად არა მაქვს.

***— საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ამ ახალ კანონპროექტს ეთანხმება?***

— ამ შემთხვევაში უმრავლესობისთვის, უმცირესობისთვის ბავშვის ინტერესებია მნიშვნელოვანი. აქ არის ერთი პოზიცია — ეს არის ჩვენი მომავალი თაობა, ამიტომ იმედი მაქვს, რომ ყველა ის შეკითხვა, რომელიც კანონპროექტის განხილვისას დაისმევა, მოგვარდება ისე, როგორც საზოგადოებისთვის უმჯობესია.

# დათო ხუჯაძე მეგრულად ამღერდა

ეკა ირემაშვილი

**16, 1§ და 17 სექტემბერს ხობში უკვე მეხუთედ გაიმართება საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“, რომელშიც ადგილობრივი მომღერლებისა და ანსამბლების გარდა, რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი დათო ხუჯა ეც მიიღებს მონაწილეობას. სპეციალურად ამ ფესტივალისთვის დათომ მეგრული სიმღერა ჩაწერა, რომელსაც ფესტივალის სტუმრებისა და მასპინ ლებისთვის შეასრულებს.**

დათო ხუჯაძემ მეგრულ სიმღერაზე მუშაობა უკვე დაასრულა. მან ერთ-ერთი მეგრული სიმღერა გაარემიქსა და თავისებური ინტერპრეტაციით ჩაწერა. ამჟამად მომღერალი საქართველოში ჩამოსასვლელად და მონატრებულ მსმენელთან შესახვედრად ემზადება. დათო ხუჯაძე ამ ფესტივალში მისი დაარსების დღიდან არის ჩართული. ქართველი მომღერალი და მისი პროდიუსერი გელა გოგოხია ფესტივალის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას — საქართველოში ჩამოგვყავდათ რუსი და ევროპელი მომღერლები. დათო ხუჯაძემ მეგრული სიმღერა ფესტივალის ორგანიზატორის, გოდერძი ბუკიას თხოვნით ჩაწერა. ფესტივალის იდეის ავტორის თქმით, დათო ხუჯაძეს ყოველ წელს ფესტივალზე მეგრული სიმღერა უნდა ემღერა. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ხობში ჩასული ქართველი მომღერალი მეგრულ სიმღერაზე გაკეთებულ საცეკვაო რემიქსს წარმოადგენს. დათომ არჩევანი ამჯერად ცნობილ მეგრულ სიმღერაზე „მა სი ვარდი თიშენ მერჩი“ (მე შენ ვარდი იმიტომ მოგეცი) შეაჩერა. დათო ხუჯაძე იმედს გამოთქვამს, რომ ახალგაზრდობა ამ სიმღერას კლუბებშიც დიდი სიამოვნებით მოისმენს. დათო ხუჯაძემ მეგრული ენა საკმაოდ კარგად იცის, ამიტომ ტექსტის დაზეპირება არ დასჭირვებია. ამ ენის ცოდნას კი მომღერალი მთლიანად დედას — ქალბატონ მეგი ჩოჩიას „აბრალებს“.

საქართველოდან წასვლის შემდეგ მომღერალი საკმაოდ ხშირად მართავს გასტროლებს როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთაც. მისი აზრით, ეს ნამდვილად გამართლებულია, რადგან უცხოელებს კიდევ ერთხელ ახსენებს საქართველოს სახელს. სწორედ მოსკოვში შეიქმნა კლიპი „მახინჯი ვარ“, რომელიც რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო ტელეარხებზე ტრიალებდა. ეს იყო პირველი ქართულენოვანი სიმღერა, რომელიც ემტივის ეთერში დატრიალდა, ამიტომ დათო ხუჯაძეს მიაჩნია, რომ მას ამბიცია უფრო მეტის კეთებისა, ნამდვილად აქვს.

ხობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ იდეის ავტორი გოდერძი ბუკიაა. მან ჟურნალისტებს ანზორ ერქომაიშვილსა და გომარ სიხარულიძესთან ერთად ყველა კითხვაზე უპასუხა. ფესტივალის ფარგლებში გამოიცემა წიგნები, კომპაქტ დისკები, მოეწყობა გამოფენები, ჩატარდება გალა კონცერტი. ღონისძიებას დაესწრებიან უცხოელი სტუმრებიც.


დათო ხუჯა ე

— წელს ჩვენი ფესტივალი საიუბილეოა, ამიტომაც მისთვის გამორჩეულად ვემზადებით და მისი პროგრამაც გამორჩეული და ნამდვილად საინტერესო იქნება. ჩვენს ქვეყანას 12-მდე ქვეყნის წარმომადგენელი ესტუმრება. ჩვენ გვაქვს ყველაზე ღირსეული ანსამბლებისა თუ პიროვნებების იუბილეები. ჩვენი ფესტივალი იხსენებს იმ პიროვნებებს, ვინც ნამდვილად დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის შექმნასა და მისი პოპულარიზაციის საქმეში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენს წლევანდელ საიუბილეო ფესტივალზე 22 ახალი სიმღერის პრემიერა გაიმართება. ყველა ეს სიმღერა სპეციალურად ამ დღესასწაულისთვის დაიწერა. ასე რომ, ყველას ხობში გელოდებით, რადგან სამდღიანი დაუვიწყარი დღესასწაული გელოდებათ, — განაცხადა ფესტივალის ორგანიზატორმა გოდერძი ბუკიამ.

ფესტივალის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღი აღინიშნება. ხობში ანსამბლ „გორდელას“ 50 წლის იუბილებსაც იზეიმებენ და გომარ სიხარულიძის ავტორობით გამოცემული წიგნის პრეზენტაციაც შედგება. მზადდება დისკი, სადაც ანსამბლის მიერ შესრულებული 33 სიმღერაა თავმოყრილი. მათ ხობში შეკრებილი საზოგადოება პირველად მოისმენს. სპეციალურად ფესტივალისთვის დაიწერა 22 ახალი სიმღერა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კი ფესტივალს წელს კულტურასთან ერთად სპორტის მიმართულებაც დაემატა. ფეხბურთელებს ვლადიმერ ბარქაიას, მურთაზ ხურცილავასა და გიორგი სიჭინავას პატივსაცემად, ფესტივალის ეგიდით გაიმართება სპორტული ზეიმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთის ქართველი და უცხოელი ვარსკვლავები. გამოიცემა სპორტული წიგნი, დავით ქლიბაძის ავტორობით.

— ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ მომეცა საშუალება, ამ ნახევარსაუკუნოვანი ანსამბლისთვის „გორდელა“ წიგნი მიმეძღვნა. ხობში გამართულ სამდღიან ფესტივალზე მისულ სტუმრებს თუ ადგილობრივებს, ნამდვილად საინტერესო და უჩვეულო ატმოსფერო ელოდებათ. დიდი მადლობა ბატონ გოდერძი ბუკიას, რომ ანსამბლი „გორდელა“ გაიხსენა და მისი 50 წლის იუბილეს აღნიშვნა გადაწყვიტა, — განმარტა გომარ სიხარულიძემ.

ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ტარდება. ხობში გალაკონცერტზე მიწვეული არიან საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები.

— ანსამბლი „გორდელა“, ნამდვილად არის ის ანსამბლი, რომელმაც ქართულ კულტურულ ცხოვრებაში თავისი ღრმა კვალი დატოვა. სასიხარულოა, რომ ამ ანსამბლის იუბილე, სწორედ ასეთი დიდი ფესტივალის ფარგლებში აღინიშნება. „გორდელას“ წევრმა ბატონმა გომარ სიხარულიძემ იუბილარ კოლექტივს არაჩველუბრივი წიგნი უძღვნა, რომელიც ქართული ხალხური სიმღერის მოყვარულთათვის ძალიან დიდი საჩუქარია, — განაცხადა ანზორ ერქომაიშვილმა.

სპეციალურად ფესტივალისთვის დაიწერა სიმღერა ქართულ-სომხურ მეგობრობაზე, რომელსაც ევროვიზიის ფინალისტი ევა რივასი შეასრულებს. მის გარდა, საქართველოში 10-მდე ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოვა. მათთან ერთად კი ხობში თითქმის ყველა ცნობილი მომღერალი იმღერებს.

ღონისძიების მთავარი მიზანი ქართული ფოლკლორისა და სპორტის წარმოჩენა, მისი პოპულარიზაცია და ძველი კორიფეების დაფასებაა. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება ახალგაზრდა ფოლკლორისტთა და მუსიკათმცოდნეთა სამეცნიერო კონფერენცია. ღონისძიებას 1500-მდე სტუმარი ეყოლება. ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ 16 სექტემბერს გაიხსნება. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ახალი გამოცემის პრეზენტაცია — ანზორ ერქომაიშვილის წიგნის „გზები, სიმღერები, ადამიანები“ (კომპაქტდისკით). დაგეგმილია რვა გამოცემა სხვადასხვა სფეროში. ქალაქის ცენტრში დაიდგმება ფაცხები, სამფეხზე შემდგარი დიდი ქვაბი, შიგ ელარჯი და გვერდით ოჯალეში. გამოჩნდება ძველი ტრანსპორტი — ურემი, მძღოლი, მეგრელი ბაბუ და ხშირად გამოითქმება ტრადიციული მეგრული მოპატიჟება.

სპორტი

## „სოხუმი“ ლატვიაში ექვსთა ტურნირში ითამაშებს

საკალათბურთო გუნდი სოხუმი აგრძელებს ევროჩელენჯის ტურნირისთვის მზადებას. გუნდმა მეორე საკონტროლო გამართა რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ უნიქსთან და 81101 დათმო.

წინასასეზონო მზადებას „სოხუმი“ ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში გააგრძელებს, სადაც იქაურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. გუნდები ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი — თითოეულში სამი გუნდია. „სოხუმი“ ა ჯგუფში მოხვდა რუსეთის ქალაქ ჩერეპოვეცის „სევეროსტალთან“ და ტურნირის მასპინძელ „ლიეპაიას ლომებთან“ ერთად.

**ბ ქვეჯგუფში აღმოჩდნენ:** ლიტვის ქალაქ პასვალისის „პიენო ზვიაგდეს“, რომელიც ლიტვის პირველი დივიზიონის ლიდერია; ესტონეთის სიძლიერით მეორე გუნდი „ტარტუ“, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი საქართველოს ნაკრების წევრებით გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძით იცნობს და დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“, რომელიც უკრაინის სუპერლიგის გუნდია.

„სოხუმი“ პირველად ტურნირის მასპინძელს „ლიეპაიას“ შეხვდება და მატჩი 17 სექტემბერს 19:00 საათზე დაიწყება.

## ერთი მედლისა და ლიცენზიის ამარა


მანუჩარ კვირკველია

სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართველთათვის დაკვნითი დღეც წარუმატებელი აღმოჩნდა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია (74კგ) ბრძოლას მერვედფინალში გამოეთიშა.

პირველ წრეში კვირკველიას მეტოქე ფინელი ჰენრი ესკო ველიმაკი იყო, რომელსაც საკმაოდ იოლად, 4:0; 1;0 მოუგო. შემდეგ კი ქართველს ხორვატი ნევენ ზუგაი დაუპირისპირდა. ორთაბრძოლა ჩვენებურის უპირატესობით დაიწყო და პირველი პერიოდი 4:1 მოიგო, მაგრამ შემდეგ, ჯერ მეორე პერიოდი წააგო მინიმალური ანგარიშით, ბოლოს კი ვერც დამატებითში შეძლო მობილიზება, რომელიც 0:2 დათმო. კვირკველიას შემდეგ ხორვატმა კიდევ ერთი ტიტულოვანი ფალავანი ჩამოიცილა - ევროპის წლევანდელი აზერბაიჯანელი ჩემპიონი რაფიგ ჰუსეინოვი, რითაც ჩვენებურს სანუგეშო წრეში გადასვლის შანსი გაუხანგრძლივა, მაგრამ ნახევარფინალში ეს იმედიც ჩაკვდა, როცა ზუგაი მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან, რუს რომან ვლასოვთან დამარცხდა. ამდენად, დამამშვიდებელში ხორვატი გადავიდა, კვირკველია კი საბოლოოდ გამოეთიშა შეჯიბრებას.

ამდენად, ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ერთი მედლით და ამდენივე ლიცენზიით დაასრულა, რაც 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გასული მანუჩარ ცხადაიას დამსახურებაა.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვებავარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.
- ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

# ნბა-ს რეგლამენტი სავარაუდოდ განახევრდება

ნიუ იორკში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებისა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა გაიმართა.

მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის წინ ყველას იმედი ჰქონდა, რომ ამჯერად მხარეები მაქსიმალურად მიუახლოვდებოდნენ კომპრომისს და ლოკაუტი, რომელიც ამჟამად ოკეანისგაღმა მოქმედებს, დასასრულს მიუახლოვდებოდა. ამ ოპტიმიზმის საფუძველს წინა დღეებში გამართული შეხვედრები იძლეოდა, სადაც მოლაპარაკებებისას გარკვეული პროგრესი შეინიშნებოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამჯერადაც არანაირ პროგრესზე ლაპარაკი არ შეიძლება — მხარეები ვერც ერთ პრინციპულ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ უკვე სამ კვირაში უნდა გაიხსნას საწვრთნელი ბანაკები და ახლა შანსი იმისა, რომ სეზონი დროულად დაიწყება, ძალიან მცირეა.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ კალათბურთელები მზად იყვნენ კლუბების ბოსებისკენ შემხვედრი ნაბიჯი გადაედგათ, მაგრამ მოპირდაპირე მხარისგან იგივეს ვერ ელირსნენ — მფლობელები კვლავინდებურად ითხოვენ ხელფასებისა და კონტრაქტების ხანგრძლივობის მკვეთრად შემცირებას.

პროფკავშირების შეფი ბილი ჰანტერი ვერ მალავდა ამ შეხვედრისგან მიღებულ ნეგატიურ განწყობას:

— უკვე ვაცნობეთ მოთამაშეებს, რომ, შესაძლოა, ნახევარი სეზონი დასვენება მოუწიოთ. ძალიან იმედგაცრუებული დავრჩით მფლობელების წინადადებებისგან. მოლაპარაკებებში არანაირი პროგრესი არ ყოფილა.

# ევროპალიგა დიდი სკანდალით იწყება

გუშინ ევროპალიგის ჯგუფური ეტაპი დაიწყო, თუმცა საფეხბურთო ევროპაში დიდი სკანდალია — უეფამ შეჯიბრებიდან მოკვეთა შვეიცარიული "სიონი", რადგან ამ კლუბმა პლეი ოფში 5 ისეთი ფეხბურთელი ათამაშა, რომელთაც სატრანსფერო შეზღუდვის გამო ამის უფლება არ ჰქონიათ.

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე "სიონმა" ორი მატჩის ჯამში 3:1 დაამარცხა შოტლანდიური "სელტიკი" და ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა. შვეიცარიელები გუშინ მადრიდის „ატლეტიკოს" უნდა შეხვედროდნენ და ესპანეთის დედაქალაქში გაფრენას გეგმავდნენ, როცა უეფას სასჯელის შესახებ შეიტყვეს. რა თქმა უნდა, მათ გაასაჩივრეს განაჩენი, მაგრამ უეფა შეუვალი იყო — დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა — მადრიდში კი შვეიცარიელების ნაცვლად შოტლანდიელები გაფრინდნენ.

"სიონი" გაჩერებას არ აპირებს და უეფას სამოქალაქო სასამართლოში უჩივის, ისინი კომპენსაციის სახით 4 მილიონ ევროს ითხოვენ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან — ფაქტია, რომ გაგრძელება კიდევ დიდხანს ექნება

# ჯოკოვიჩი ფინანსურადაც დაწინაურდა



მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ერთ სეზონში მოპოვებული ჰონორარებით აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. მიმდინარე წელს ზღაპრულად მოთამაშე სერბმა ჩოგბურთელმა კორტზე 10,6 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და გააუმჯობესა ესპანელი რაფაელ ნადალის რეკორდი, რომელიც 2010 წლის სეზონის შედეგების მიხედვით 10,17 მილიონ დოლარს უდრიდა.

10 მილიონის გამოსამუშავებლად ჯოკოვიჩმა 12 ტურნირში მონაწილეობა იკმარა, ნადალმა კი თითქმის იგივე თანხა 17 ტურნირში შეაგროვა. კიდევ ერთი ჩოგბურთელი, რომელმაც ერთ სეზონში 10 მილიონზე მეტი თანხა მიიღო, შვეიცარიელი როჯერ ფედერერია — 2007 წელს მისი მონაგარი 10,13 მილიონი იყო, ტურნირების რაოდენობა კი — 16.

ჯოკოვიჩს წელს 10 ტურნირი აქვს მოგებული, მათ შორის, "დიდი სლემის" სამი ჩემპიონატი და ხუთი "მასტერსი".

მედიასთან კომენტარში ნოვაკმა განაცხადა, რომ ბედნიერი იქნება თუ 2012 წელს იმის ნახევარს მიაღწევს, რაც 2011 წელს აჩვენა. სერბმა ისიც აღნიშნა, რომ ძალიან უნდა საფრანგეთის ღია პირველობის მოგება, მაგრამ ამისთვის დრო არის საჭირო.

კვირის ბოლოს ჯოკოვიჩს დევისის თასის ნახევარფინალში მოუწევს თამაში. ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული საკუთარ მოედანზე არგენტინას ეთამაშება, რომელიც ოპტიმალური შემადგენლობით ჩადის ბელგრადში.

თავად ნოვაკი ბელგრადში უკვე ჩასულია, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის, ითამაშებს თუ არა მსოფლიოს პირველი ჩოგანი არგენტინელთა წინააღმდეგ. სერბული პრესის ინფორმაციით, ჯოკოვიჩმა, შესაძლოა, დაღლილობის გამო გამოტოვოს აღნიშნული შეხვედრა. მასპინძლების კაპიტანმა ბოგდან ობრადოვიჩმა უკვე განაცხადა, რომ მისი გუნდი ნოვაკის გარეშეც მზად არის არგენტინასთან საბრძოლველად.

— ნოვაკს ორი დღე ექნება მოსამზადებლად, რის შემდეგაც მივიღებთ გადაწყვეტილებას მისი შემადგენლობაში დაყენების შესახებ. ნოვაკი ნამდვილი პროფესიონალია და დიდი ხანია მიჩვეულია მჭიდრო გრაფიკით თამაშს. მაგრამ მის გარეშეც შეგვიძლია ფონს გასვლა. ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს, — განაცხადა ბოგდანოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩის გარდა სერბეთის ნაკრებში შედიან იანკო ტიპსარევიჩი, ვიქტორ ტროიცკი და ნენად ჟიმონჟიჩი.

დევისის თასი ვახსენეთ და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ანალოგიური პრობლემები აქვს ესპანეთის ნაკრებსაც — ამ გუნდის კაპიტანმა ალბერტ კოსტასმა ჯერ არ იცის, შეძლებს თუ არა გუნდის ლიდერი რაფაელ ნადალი საფრანგეთის წინააღმდეგ ნახევარფინალში თამაშს.

კოსტას თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება მსოფლიოს მეორე ჩოგანის სამედიცინო შემოწმების შემდეგ გახდება ცნობილი.

— სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვგრძნობ დაღლილობას. მცირე დასვენება მჭირდება, მაგრამ გამოფიტული არ ვარ, — ამბობს ნადალი.

— უახლოეს დღეებში შევაფასებთ რაფას მდგომარეობას, თუ ის მწყობრში იქნება, აუცილებლად ითამაშებს, — განაცხადა კოსტამ.

# ინტერმა სენსაციურად წააგო, გიგზმა ახალი რეკორდი დაამყარა



### ინტერი-ტრაბზონსპორი 0:1 (0:0)

0:1 ჩელუსტკა (76)

2010 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა მილანის „ინტერმა" მიმდინარე გათამაშება ხმაურიანი სენსაციით დაიწყო. მართალია, მიმდინარე გათამაშების დაწყებიდან ჯერ მხოლოდ ერთი ტურია გასული, მაგრამ გასაკვირი არ იქნება, თუ სეზონის ბოლომდე, "ინტერი"-"ტრაბზონსპორის" შეხვედრაზე უფრო სენსაციური შედეგი არ დაფიქსირდება.

"ჯუზეპე მეაცაზე" გამართულ მატჩში რომ სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, ეს გასაკვირი არ ყოფილა. მილანელებმა გოლის გატანის რამდენიმე ძალიან რეალური მომენტი შექმნეს, მაგრამ სტუმართა მეკარე მთელი მატჩის განმავლობაში უშეცდომოდ მოქმედებდა. რაც შეეხება შეხვედრის ერთადერთ გოლს, იგი 76-ე წუთზე გავიდა, როდესაც ალტინტოპის დარტყმის შემდეგ, ბურთი ხარიხას მოხვდა, მოედანზე დაბრუნებულს კი ჩელუსტკა დაეუფლა "ინტერის" საჯარიმოში რამდენიმე მოძრაობა გააკეთა და მახვილი კუთხიდან გატანილი გოლით, ტურის უდავოდ ყველაზე სენსაციური ანგარიში დააფიქსირა.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩემპიონთა ლიგაზე, საკუთარ კედლებში, "ინტერმა" ზედიზედ მე-3 თამაში წააგო.

### ლილი-ცსკა 2:2

1:0 სოვე (45), 2:0 პედრეტი (57), 2:1 დუმბია (72), 2:2 დუმბია (90)

ფრანგები რუს არმიელებთან მატჩში ისევე ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, როგორც თავის დროზე ნაპოლეონი, მაგრამ 1812 წლის მსგავსად, რუსებმა ახლაც უკან დაახევინეს მეტოქეს. მართალია, არმიელებს არ მოუგიათ, მაგრამ სტუმრად აღებული ფრე, ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის და შემდეგ ეტაპზე გასვლის მეტ შანსს ჩრდილოელებს უტოვებს.

ლილი სოვისა და პედრეტის გოლებით 2:0 დაწინაურდა, მაგრამ დუმბიამ ჯერ 72-ე, გაიტანა, ხოლო მატჩის ბოლო წამებზე საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

### ვილიარეალი-ბაიერნი 0:2

0:1 კროოსი (7), 0:2 რაფინია (76)

"სიკვდილის" ჯგუფიდან გასასვლელად პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა მიუნხენის "ბაიერნმა", რომელმაც ერთ-ერთ უშუალო კონკურენტად მიჩნეულ "ვილიარეალს" გასვლაზე იოლად სძლია.

"ელ მადრიგალზე" გამართულ მატჩში ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა, როდესაც სტუმართა შეტევის მარცხენა ფლანგიდან რიბერის მიერ გაკეთებული პასი გოლად საჯარიმოში მყოფმა კროოსმა აქცია. შეხვედრის დასრულებამდე 14 წუთით ადრე კი, "ბაიერნის" მარჯვენა მცველი, რაფინია მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და ისარგებლა მეკარის შეცდომით და მახვილი კუთხიდან დარტყმით მატჩის გამარჯვებული ნათელი გახადა.

### სიტი-ნაპოლი 1:1

0:1 კავანი (69), 1:1 კოლაროვი (75)

ფრედ დასრულდა სიკვდილის ჯგუფის მე-2 შეხვედრა, რომელშიც "მანჩესტერ სიტიმ" "ნაპოლის" უმასპინძლა. მიუხედავად მასპინძელთა თვალსაჩინო უპირატესობისა, ანგარიში მაინც სტუმრებმა გახსნეს. სანამ პირველი გოლი გავიდოდა, გუნდებმა ერთმანეთის კარის ხარიხა თითოჯერ შეაზანზარეს.

69-ე წუთზე, ბერი მოედნის ცენტრში შეცდა და ეს ერთი შეცდომა "ნაპოლის" საგოლე კონტრშეტევისთვის საკმარისი გამოდგა. რამდენიმე წამში, მაჯოს გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა კავანიმ მეკარეს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა და ანგარიში გახსნა.

75-ე წუთზე, "ქალაქელებმა" ხარიხას ბურთი კიდევ ერთხელ მოარტყეს, მაგრამ იმავე შეტევის დროს, საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს, სტუმრებმა თამაშის წესები დაარღვიეს, ხოლო სტანდარტი გოლად კოლაროვმა აქცია და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

### ბენფიკა-მანჩესტერი 1:1

1:0 კარდოსო (24), 1:1 გიგზი (42)

თვალსასეირო მატჩი გაიმართა ლისაბონში, სადაც ც ჯგუფის ფავორიტებმა, "ბენფიკამ" და "მანჩესტერმა" გამარჯვებული ვერ გამოავლინეს. ორივე გუნდს გოლის გატანის არაერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ მეკარეებს ბურთის კარიდან გამოტანა მხოლოდ თითოჯერ მოუხდათ. 24-ე წუთზე, კარდოსომ ბურთი გატანისგან საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, რასაც ანგარიშის გახსნა მოჰყვა. საბოლოო ანგარიში პირველივე ტაიმში დაფიქსირდა. 42-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე ვალენსიამ საჯარიმოში გიგზს მოძებნა და მანჩესტერელთა ვეტერანმა ბურთი მეკარისგან მარცხენა ზედა კუთხეში მოათავსა.

აღსანიშნავია, რომ ამ გოლით რაიან გიგზი ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია მათ შორის, ვისაც კი ჩემპიონთა ლიგაში გოლი გაუტანია. ოთხშაბათს, ლისაბონის "ბენფიკასთან" მატჩში, უელსელი ფეხბურთელი 37 წლისა და 289 დღის იყო.

### ბაზელი-ოცელული 2:1

1:0 ფ. ფრაი (39), 1:1 პენა (58), 2:1 ა. ფრაი (84)

ეს გუნდები თავიდანვე აუტსაიდერებად იყვნენ განწირულნი და ერთმანეთში ჯახში უნდა გაარკვიონ ის მესამეადგილოსანი, რომელიც ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებს. საამისოდ კი, პირველი სერიოზული ნაბიჯი „ბაზელმა" გადადგა.

შვეიცარიელები პირველ ტაიმში ფაბიენ ფრაიმ დააწინაურა, რომელიც მეორე ტაიმში პენამ გაქვითა. თუმცა, შვეიცარიელებს მხსნელად ისევ ფრაი მოევლინათ, თუმცა, ამჯერად ალექსანდერი, რომელმაც მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მისი გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

### დინამო-რეალი 0:1

0:1 დი მარია (53)

ბევრისთვის მოულოდნელად, უდავო ფავორიტად და გოლების მანქანად მიჩნეულმა მადრიდელებმა მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობით იმარჯვა. ეს უფრო იმიტომ არის გასაკვირი, რომ მადრიდელები ზაგრების "დინამოს" ოპტიმალური შემადგენლობით დაუპირისპირდნენ. მართალია, ისინი მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ხორვატების კარში ბურთი მხოლოდ ერთხელ გავიდა. ამ გოლის ავტორი ანხელ დი მარიაა, რომელმაც 53-ე წუთზე, საჯარიმოში მყოფმა, მარსელოს გადაცემა გამოიყენა.

ოც წუთში, საგოლე პასის ავტორი მარსელო მეტოქის საჯარიმოში შეჭრისა და წაქცევის შემდეგ, მსაჯისგან თერთმეტმეტრიანის დანიშვნას ითხოვდა, მაგრამ არბიტრისგან მან ყვითელი ბარათი მიიღო, რომელიც ბრაზილიელისთვის თამაშში მე-2 გამოდგა და მოედნიდან გააძევეს. ასე რომ, მადრიდელებმა ბოლოს თითქმის 20 წუთი რიცხობრივ უმცირესობაში ითამაშეს.

### აიაქსი-ლიონი 0:0

დ ჯგუფის მე-2 შეხვედრა ერთადერთი გამოდგა, რომელშიც გოლი არ გასულა. მიუხედავად ნულოვანი ანგარიშის დაფიქსირებისა, ამსტერდამში გამართულ მატჩს უინტერესო არ ეთქმოდა. გოლის გატანის შანსები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ მიზანს ვერც ერთმა მიაღწია.

# მასპინძელი მაყურებლის რანგში დარჩა

ევრობასკეტზე პირველი ნახევარფინალისტი გამოვლინდა. ესპანეთის ნაკრებმა მეოთხედფინალში სლოვენიას, როგორც იტყვიან, ცალი ხელით მოუგო — 86:64.

მეტნაკლებად დაძაბული მხოლოდ პირველი მეოთხედი გამოდგა, რომელშიც სლოვენიელებმა 7-ქულიანი უპირატესობით იმარჯვეს — 23:16. საქართველოს ნაკრების ექსთანაჯგუფელები დიდი შესვენების წინ უკვე მდევრის როლში აღმოჩნდნენ — 31:35. მესამე მეოთხედში ესპანეთმა მეტოქის განადგურება დაიწყო, რის შედეგად სლოვენიელთა ჩამორჩენამ სულაც 26 ქულას მიაღწია — 45:71 და მატჩის ბედიც ადრევე გადაწყდა.

გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი ხუან ნავარო იყო, რომელმაც 26 ქულა ჩააგდო. პაუ გასოლმა კი 19 ქულა და 16 მოხსნა დააგროვა. სლოვენიელთაგან 14 ქულითა და 5 მოხსნით გორან დრაგიჩი გამოირჩა.

ლიტვაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მეორე მეოთხედფინალური მატჩი კი სენსაციით დასრულდა. მასპინძელთა ნაკრები, რომელიც არა მარტო ამ მეოთხედფინალური წყვილის, არამედ მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად განიხილებოდა, ტურნირს მაკედონიასთან მარცხით გამოეთიშა.

ბო მაკალების შეუჩერებელი ინდივიდუალური გარღვევებითა და მისი თანაგუნდელების თავგანწირული თამაშით, მაკედონიელებმა წარმოუდგენელი რამ შეძლეს. მთელი თამაშის განმავლობაში უმცირესი სხვაობით ჩამორჩენა გადამწყვეტი მეოთხედის მიწურულს სათავისოდ შეატრიალეს და საბოლოოდ 67:65 იმარჯვეს. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი 23 ქულით სწორედ მაკალები იყო, ლიტველთაგან კი რობერტას იავტოკასმა 13 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა.

ნახევარფინალში მაკედონია ესპანეთს დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალურ წყვილს კი გუშინ გვიან ჩასატარებული მეოთხედფინალები გამოავლენდნენ, სადაც რუსეთი სერბეთს ეთამაშებოდა, საფრანგეთი — საბერძნეთს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| აიაქსი-ლიონი | 0:0 |
| ბაზელი-ოცელული | 2:1 |
| ბენფიკა-მანჩესტერი | 1:1 |
| ვილიარეალი-ბაიერნი | 0:2 |
| სინამო(ზ)-რეალი | 0:1 |
| ინტერი-ტრაბზონი | 0:1 |
| ლილი-ცსკა | 2:2 |
| სიტი-ნაპოლი | 1:1 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| პანეთოლიკოსი-ასტერასი | 1:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-კალმარი | 2:2 |

**ნორვეგია.**

| | |
|---|---|
| ელიტსერია ვალერენგა-ოდ გრერლანდი | 0:1 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-ჰიუსტონი | 2:2 |

### კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-სლოვენია | 86:64 |
| ლიტვა-მაკედონია | 65:67 |

### ფრენბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-ესტონეთი | 3:0 |
| საფრანგეთი-თურქეთი | 3:1 |
| ჩეხეთი-პოლონეთი | 1:3 |
| ფინეთი-სლოვენია | 3:2 |

### რაგბი

**მსოფლიო თასი**

| | |
|---|---|
| აშშ-რუსეთი | 13:6 |

## დღის კალენდარი

### 16 სექტემბრისთვის



წლის 259-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 106 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

*მე-14 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. პარასკევი*

მღვდელმოწამისა ანთიმოზისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა, და მისთანა მოწამეთა: თეოფილე დიაკონისა, დოროთსი, მარდონისი, მიგდონისი, პეტრესი, ინდისისა, გორგონისი, ზენონისა, დომნა ქალწულისა და ექვთიმესი და სხვათა (302); ღირსისა თეოქტისტესი, ღირსი ეფთვიმე დიდის თანამზახველისა (467); წმიდისა ფებე დედათდიაკონისა (I); მოწამისა ბასილისა ნიკომიდიელისა ( 309); მღვდელმოწამისა არისტიონისა, ალექსანდრიელი ეპისკოპოსისა; იოანიკე II სერბელი პატრიარქისა (1354).

**დაიბადნენ:**

1387 — ჰენრიხ IV, ინგლისის მეფე, უბადლო მეომარი.

1462 — პიეტრო პომპონაცი, იტალიური აღორძინების ერთ-ერთი წამყვანი ფილოსოფოსი.

1745 — მიხეილ კუტუზოვი, რუსი მხედართმთავარი. გარდაიცვალა 1813 წელს.

1921 — ოთარ ჯაფარიძე, ისტორიკოსი, აკადემიკოსი.

1930 — ნოდარ გურაბანიძე, თეატრმცოდნე, პროფესორი.

1953 — მიკი რურკი, ამერიკელი კინომსახიობი.

**გარდაიცვალნენ:**

1380 — კარლოს V ბრძენი, საფრანგეთის მეფე.

1498 — ტომაზო ტორკვემადა, ესპანეთის პირველი დიდი ინკვიზიტორი.

1824 — ლუდოვიკო XVIII, საფრანგეთის მეფე.

1911 — მიხეილ თამარაშვილი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

1932 — რონალდ როსი, ინგლისელი პარაზიტოლოგი.

1977 — მარია კალასი, ოპერის გამოჩენილი მომღერალი.

**მოვლენები:**

1812 წელი — ხანძარი ნაპოლეონისთვის დატოვებულ მოსკოვში.

1848 წელი — საფრანგეთის ყველა ტერიტორიაზე გაუქმდა მონობა.

1940 წელი — ამერიკაში გამოვიდა კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ.

1967 წელი — საბჭოთა კავშირმა სემიპალატინსკში ბირთვული გამოცდა ჩაატარა.

1978 წელი — ქალაქ თებესში (ირანი) მომხდარმა მიწისძვრამ 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1987 წელი — მონრეალში 24 ქვეყანას შორის დაიდო ხელშეკრულება ოზონის შრისათვის საშიში ქიმიურ ნივთიერებათა გამოშვების შეწყვეტის შესახებ.

2000 წელი — გაიხსნა ოლიმპიური თამაშები სიდნეიში (ავსტრალია).

**ღირსსახსოვარი დღეები**

**ოზონის ფენის დაცვის საერთაშორისო დღე**

მექსიკა — დამოუკიდებლობის დღე

პაპუა-ახალი გვინეა — დამოუკიდებლობის დღე

მალაიზია, სინგაპური — დამოუკიდებლობის დღე.

უკრაინა — გამომგონებლის დღე.

უკრაინა — ფარმაცევტის დღე.

**მედიანიუსი**

# „გალაზე“ განაცხადების მიღება დასრულდა

*ეკა ირემაშვილი*

ლიტერატურულ კონკურს „გალაზე“ განცხადების მიღება დასრულდა, ჟიურის წევრებმა კი ნაწარმოებების განხილვა დაიწყეს. მთლიანობაში კონკურსზე 121-მა გამომცემლობამ 140-მდე წიგნი წარადგინა. წელს „გალას“ ორგანიზატორებმა კონკურსს კიდევ ერთი ახალი ნომინაცია „წლის სცენარი“ დაუმატეს.

— ჩვეულებისამებრ, როგორც ყოველ წელს ხდება, დავუკავშირდით გამომცემლობებს და ვთხოვეთ თავიანთი პროდუქციიდან ნომინაციების მიხედვით თავადვე შეარჩიონ საუკეთესო წიგნები. ყოველთვის თვალყურს ვადევნებ ახალ წიგნებს და, ჩემი ვარაუდით, უკვე ვხვდები, თუ რა სახის ლიტერატურას შემოგვთავაზებენ გამომცემლობები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წელს ბაზარზე ნამდვილად კარგი პროდუქციაა წარმოდგენილი და დიდი იმედი მაქვს, რომ საინტერესო კონკურსანტები გვეყოლება. წიგნების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, თუმცა, ბევრად მნიშვნელოვანია მათი ხარისხი. წელს ნამდვილად ძალიან კარგი წიგნები შემოვიდა. რა თქმა უნდა, გვყავს ფავორიტები, თუმცა, ჯერ კითხვა არ დასრულებულა და საბოლოო შედეგები ერთი თვის შემდეგ გახდება ცნობილი, — განაცხადა ჟიურის წევრმა ნინო ქაჯაიამ.

ლიტერატურული კონკურსი „გალა“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილის ინიციატივით, წელს უკვე მეხუთედ ჩატარდება. წინა წლების კონკურსისგან განსხვავებით, წლევანდელ „გალაში“ მონაწილეობის შესაძლებლობა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ წლის საუკეთესო კინოსცენარის ნომინაციაზე წარდგენილ ავტორებსაც მიეცემათ, ამიტომ ლიტერატურულ კონკურსში „გალა“ გამარჯვებულები ექვსის ნაცვლად შვიდ ნომინაციაში გამოვლინდებიან.

ლიტერატურულ კონკურსში „გალა“ 138 ავტორი მონაწილეობს. ხუთკაციანმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც არიან



მთარგმნელი ნინო ქაჯაია, მხატვარი დიმიტრი ერისთავი, მწერლები ზურაბ სამადაშვილი, მამუკა ხერხეულიძე და ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილე ნინო კუხალაშვილი, ნაწარმოებების განხილვა უკვე დაიწყო. კონკურსში გამომცემლობების მიერ შერჩეული ის წიგნები მონაწილეობენ, რომლებიც 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის სექტემბრამდეა გამოცემული.

— გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ კონკურსს ახალი ნომინაცია დაემატა, „გალას“ საიუბილეო წელი იმითაც მნიშვნელოვანია, რომ წინა წლებთან შედარებით საკონკურსო წიგნების რაოდენობაა გაზრდილი. მინდა აღვნიშნო, რომ მათი ხარისხი საკმაოდ მაღალია. შემოსულია იმდენად ბევრი საინტერესო წიგნი, რომ ცოტა არ იყოს, შემშურდა კიდეც ჟიურის წევრების, რომელთაც ძალიან ბევრ კარგ ავტორთან და ბევრ კარგ ლიტერატურულ ტექსტთან მოუწევთ შეხება. ლიტერატურული კონკურსი „გალა“ მეხუთედ ტარდება და თითქმის ყველა მათგანში შეგვაქვს სიახლე. წელს ექვსის ნაცვლად შვიდი ნომინაცია იქნება წარმოდგენილი, ანუ, კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ წლის საუკეთესო კინოსცენარის ნომინაციაზე წარმოდგენილ ავტორებსაც მიეცემათ. ამასთანავე, რჩება ძველი ნომინაციებიც, რომლებიც ჩემთვისაც და მკითხველისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა ორი მათგანი გამოვყო: ეს გახლავთ ნომინაცია, რომელიც იმ მწერალს გამოავლენს, ვინც ყველაზე უკეთესად წერს ბავშვებისათვის და, ასევე, გამოავლენს იმ მხატვარს, რომელიც ყველაზე კარგად ასურათებს წიგნებს, როგორც პატარებისათვის, ისე დიდებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ წინა კონკურსების მსგავსად, წლევანდელ „გალასაც“ ეყოლება ძალიან კარგი, ძალიან საინტერესო და ღირსეული გამარჯვებულები. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის პროდუქტი,

რომელიც ქართველმა მწერლებმა და გამომცემლობებმა შესთავაზეს საზოგადოებას. ამასთან, მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი ჟიურის პორფესიონალიზმსა და მაღალ კვალიფიკაციას, — აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი.

წელს ნომინაციაში ლიტერატურულ კონკურს „გალასთვის“ კინოცენტრის შიდა კომისიის მიერ შეირჩა 7 სცენარი — „ადას კინო“ (მაკა კუკულავა), „ღილი“ (ნუგზარ მეტრეველი), „კვამლი ანუ უხილავი ფიროსმანი“ (ბესო, გივი ოდიშარია), „კავკასიური მურა დათვი“ (ოთარ შამათავა, ზაზა ბუაძე), „სიმღერით გამთბარი მიწა“ (თემურ ჭკუასელი), „ტკბილი ბიჭუნა“ (დათა ფირცხალავა) და „ფრთები“ (გიორგი ქებურია).

— ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთი მაღალი დონის კონკურსში კინოსცენარის ნომინაციაც დაემატა. წელს კინოცენტრში 41 კინოსცენარი შემოვიდა, საიდანაც კინოცენტრის შიდა კომისიამ 7 შეარჩია. ჩვენ ისინი უკვე გადავეცით კონკურსის ჟიურის. არჩევანი ახლა მათზეა, — აღნიშნავს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილე, ჟიურის წევრი ნინო კუხალაშვილი.

ლიტერატურული კონკურსი „გალა“ 2011 წლის თბილისობის დღესასწაულზე გაიმართება, სადაც გამოვლინდება წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნი, წლის საუკეთესო წიგნი, წლის საუკეთესო თარგმნილი წიგნი, წლის საუკეთესო წიგნი ბავშვებისათვის, წლის საუკეთესო წიგნის მხატვრობა, წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი და წლის საუკეთესო სცენარი. ნომინაციებში გამარჯვებულები საჩუქრად მიიღებენ ბრინჯაოს ხანის კოლხური ხელცულის მცირე ზომის ასლს და ერთჯერად ფულად პრემიას 4 000 ლარის ოდენობით.

# მოდის „თრეიდ შოუ“-ში საქართველოც ჩაერთო

*ეკა ირემაშვილი*



22-24 სექტემბერს თურქეთის ქალაქ სტამბულში მოდის საერთაშორისო ბრენდებისა და დიზაინერების თრეიდ შოუ გაიმართება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამოფენას ევრაზიის რეგიონში და თავს უყრის მსოფლიოს სხვადასხვა ბრენდებსა და დიზაინერებს. თრეიდ შოუზე წარმოდგენილია ქალის და მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის უახლესი კოლექციები და აქსესუარები. წელს ამ ღონისძიებაში საქართველოც არის ჩართული.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ქეთი ბოჭორიშვილი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ბრენდებისა და დიზაინერების თრეიდ შოუში, სადაც გამართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს სამკერვალო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან და გააცნობს საფეიქრო ბიზნესის განვითარების კუთხით საქართველოს შესაძლებლობებსა და ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო კლიმატს. თრეიდ შოუს მონაწილეთა შორის იქნებიან საფეიქრო ინდუსტრიის წარმომადგენლები, კერძოდ — ტანსაცმლის და ტექსტილების მწარმოებლები, საცალო და საბითუმო ვაჭრობით დაკავებული კომპანიები, ტანსაცმლის მაღაზიების მფლობელები, დისტრიბუტორები და მოდის აგენტები.

მოდის საერთაშორისო ბრენდებისა და დიზაინერების თრეიდ შოუს დროს ქეთი ბოჭორიშვილი სამკერვალო ინდუსტრიის წარმომადგენლებს მიაწოდებს ინფორმაციას 13-15 ოქტომბერს თბილისსა და ბათუმში საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ დაგეგმილ საფეიქრო ინდუსტრიის ბიზნეს ფორუმთან დაკავშირებით, რომელიც ტარდება საქართველოს მოდის კვირეულის პარალელურად.

ბიზნეს ფორუმს გახსნის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია. ფორუმის ფარგლებში მოწვეული პოტენციური ინვესტორებისათვის გაიმართება გასვლითი ვიზიტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც შესაძლებელია ახალი სამკერვალო ფაბრიკების აშენება ან არსებულის განახლება. საფეიქრო ინდუსტრიის ბიზნესფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ასევე ქართული სამკერვალო ფაბრიკების წარმომადგენლები.

# „მის სამყაროზე“ ქართველ მოდელს არავინ გულშემატკივრობდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და, ამიტომ მათთვის უცნობი იყო, დაესწრებოდა თუ არა, „მის სამყაროს“ კონკურსს „იმიჯ ცენტრის“ ხელმძღვანელი.

გამარჯვება წლევანდელ კონკურსზე ანგოლელ ლეილა ლოპესს ერგო. დიდ ბრიტანეთში, სადაც ის მენეჯმენტს სწავლობს, მან „მის ანგოლა იუნაიტედ კინგდომ“-ის ტიტული მოიპოვა. ორი თვის შემდეგ კი 21 კონკურსანტს აჯობა და „მის ანგოლას“ კონკურსშიც საუკეთესოდ დასახელდა. წლევანდელ გამარჯვებულ „მის სამყაროს“ ტრადიციისამებრ გამარჯვების გვირგვინი წინა წლის გამარჯვებულმა მექსიკელმა ჰიმენა ნავარეტესმა დაადგა. კონკურსის მე-60 იუბილის პატივსაცემად, „მის სამყაროს“ მფლობელი დონალდ ტრამპი კონკურსანტებსა და მაყურებლებს სიურპრიზს დაჰპირდა.

„მის სამყარო 2011“-ის გამარჯვებულს საჩუქრად 120.000 დოლარად ღირებული გვირგვინი და ნიუ-იორკში მდებარე ბინა გადაეცა. ფინალში გამარჯვებისთვის 89 მანდილოსნიდან 16 კანდიდატი იბრძოდა, რომელთაგან 15 — ჟიურიმ, ერთი კი მაყურებელმა გამოარჩია. მეორე ადგილი „მის უკრაინამ“, 23 წლის ოლესია სტეფანკომ მოიპოვა, ის, ასევე „ყველაზე სექსუალური კონკურსანტის“ ტიტულით დასაჩუქრდა.

გამარჯვებულმა ლეილა ლოპესმა კონკურსანტებს შორის „მის საქართველო“ და „მის იტალია“ გამოარჩია და განაცხადა, რომ მათთან მეგობრობას მომავალშიც გააგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ მის სამყაროს ახალიმ რჩეული „მის საქართველოს“ წარმომადგენელს დაუმეგობრდა და დაუახლოვდა, საქართველოს წარმომადგენლის მხარდასაჭერად საქართველოდან არავინ ჩასულა. მასთან ერთად არც ია კიწმარიშვილი იმყოფებოდა. „იმიჯ ცენტრში“ განმარტავენ, რომ კომპანიის ხელმძღვანელს ია კიწმარიშვილს საჭიროდ არ ჩაუთვლია, კონკურსანტს ბრაზილიაში გაყოლოდა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 2. დროის ისტორიული მონაკვეთი, ეპოქა; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. შვეიცარიის დედაქალაქი; 5. გადასახადებისგან განთავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში; 8. დიდი საცეკვაო საღამო, მეჯლისი; 9. პოპულარული ფრანგული სიგარეტი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობის წევრთა, მინისტრთა ერთობლიობა; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. თეთრი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 15. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

**თარაზულად:** 1. თანამედროვე ქართველი პოეტი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 7. ტყის დიდი გარეული ხარი; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 13. „ფორმულა-1“-ში მონაწილე იტალიელი ავტომრბოლელი; 14. შავი ნაყოფის მქონე, ტკბილი, კენკროვანი ბუჩქი; 16. ხოხბის, გნოლის, კაკბის ბარტყი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული მხარე; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აიდა; 2. ერი; 3. სარაფანი; 4. ჯო; 5. გლიპტიკა; 6. პატი; 7. კანტონი; 10. გენი; 11. მონუმენტი; 12. ნონსენსი; 13. ყოჩი; 16. ქონება; 18. ბოიკოტი; 19. შტორმი; 21. სტელა; 24. ტუნგი.

**თარაზულად:** 1. ალიგოტე; 3. სირაჯი; 8. ილიადა; 9. დოგი; 14. ენდრო; 15. ბოგოტა; 17. ნუგა; 20. ნამუსი; 22. კროლი; 23. ტრესტი; 25. სკა; 26. ერბო; 27. იკაო; 28. ნოსტალგია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პატო; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. იორი; 9. ბოჰემია; 10. ტარიბანა; 12. თუშეთი; 13. გლასე; 15. ალეკო.

**თარაზულად:** 1. პაოლინი; 6. მასმედია; 7. ტაიჭი; 10. ტაიგა; 11. კრედო; 13. გრემი; 14. ქააბა; 16. ელია; 17. აპოთემა; 18. სომონი.

## ძირითადი სასწავლო საგნების სახელმძღვანელოები 10 ლარზე მეტი ღირს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაპირების მიუხედავად, წიგნების მაღაზიებში ინგლისურის, მათემატიკისა და ქართულის ენის წიგნები 12-დან 18 ლარადმე ღირს.

„პირველი" გუშინ წიგნის რამდენიმე მაღაზიას ეწვია და გაარკვია, რომ სახელმძღვანელოს თან საშინაო დავალების რვეულიც მოჰყვება, რომლის შეძენა სავალდებულოა, რადგან სწავლის პერიოდში ბავშვები სწორედ ამ რვეულებში მუშაობენ.

ინგლისურის სახელმძღვანელო სამუშაო რვეულით 18 ლარი ღირს, მათემატიკის — 14-დან 17 ლარამდე, ხოლო ქართული ენის — 12-დან 15 ლარამდე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ რამდენიმე დისტრიბუტორ ორგანიზაციასთან მემორანდუმს მოაწერა ხელი და განაცხადა, რომ სახელმძღვანელოები 10 ლარზე მეტი არ ეღირებოდა.

**პირველი**

## 17 წლის წინ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა გახსნილია

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 1994 წელს თბილისში მინასიანების ოჯახის რამდენიმე წევრის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა გახსნილია. მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტისა და შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, გამოვლინდა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე საშიში და განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული დანაშაულებრივი დაჯგუფება - ჯგუფის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ვახტანგ გვრიტიშვილი, მისი ძმა კობა გვრიტიშვილი, გიორგი ოთარაშვილი, გელა ქავთარაძე, რევაზ დემეტრაშვილი, ალექსანდრე რევაზიშვილი და ამჟამად გარდაცვლილი მალხაზ მოდებაძე.

დასახელებულმა პირებმა იცოდნენ, რომ ნეშან მინასიანის ოჯახი მატერიალურად შეძლებული იყო და მისთვის ფულის გამოძალვის მიზნით, 1994 წლის 18 იანვარს მოიტაცეს 19 წლის ვაზგენ მინასიანი, ახლობლებს კი გამოსასყიდის სახით 150 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვეს. დამნაშავეებს მსხვერპლი 10 დღის განმავლობაში ჰყავდათ დამალული ჯერ ორმოში, შემდეგ კი - დიღომში მდებარე ერთ-ერთ სახლში. 15 000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ ვაზგენ მინასიანი გაათავისუფლეს და ოჯახისაგან მიიღეს პირობა, რომ დარჩენილ თანხას უახლოეს დღეებში გადაუხდიდნენ.

შემდგომში, იმ მიზნით, რომ გატაცების ფაქტი არ გახმაურებულიყო, ჯგუფის წევრებმა დახოცეს ნეშან მინასიანი, მისი მეუღლე - ფლორა მინასიანი და ვაჟი - ვაზგენ მინასიანი.

დღესდღეობით დაკავებულია დაჯგუფების სამი წევრი - გიორგი ოთარაშვილი, რევაზ დემეტრაშვილი და ალექსანდრე რევაზიშვილი. მათ თანამზრახველებზე კი გამოცხადებულია ძებნა.

გამოძიება აქტიურად მუშაობს ჯგუფის მიერ ჩადენილი სხვა უმძიმესი დანაშაულების გასახსნელად. ძიების შედეგები საზოგადოებას დამატებით ეცნობება.

**მედიანიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ზურა, ვახტანგ, ნუნუ თორდიები, შვილიშვილები ბექა, ქრისტინე და თამარ თორდიები, ელენე და ერეკლე გირგვლიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონი

**ლილი არჩილის ასულ პაკელიანი-თორდიას**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 15, 16, 17 სექტემბერს.
დაკრძალვა: 18 სექტემბერს, 15 საათზე.
მისამართი: ზუგდიდის რაიონის სოფელი ზედა ეწერი.

---

ვახტანგ თორდია და მერაბ თორდია ოჯახებით ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ თორდიას დედის, ქალბატონი

**ლილი პაკელიანი-თორდიას**

გარდაცვალების გამო.

---

ნანა, ლია, სოსო ნაყოფიები სამძიმარს უცხადებენ ციური და ლერი ჩიმაკაძეების ოჯახს დის

**ცუცი ვასილის ასულ ჯოჯუას**

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა: 17 სექტემბერს.
მისამართი: სოფელი კვახჭირი (ქუთაისის რაიონი).

---

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კომპანიის თანამშრომლის

**თადეოზ თალაკვაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

პანაშვიდი: 16 სექტემბერს, 18 საათზე.
დაკრძალვა: 17 სექტემბერს, 15 საათზე.
მისამართი: ქ.ოზურგეთი, გრიბოედოვის ქუჩა №27.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კემერონი და სარკოზი ლიბიაში ახალ რეჟიმთან მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი და საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ლიბიაში, ქვეყნის ახალ, დროებით ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ.

კემერონი და სარკოზი-უცხოური ქვეყნების პირველი ლიდერები არიან, რომლებიც ლიბიას, ქვეყნის ლიდერის მუამარ კადაფის, რეჟიმის დამხობის შემდგომ სტუმრობენ.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და საფრანგეთის პრეზიდენტი ტრიპოლში გარდამავალი ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელთან მუსტაფა აბდელჯალილთან გეგმავენ შეხვედრას, რის შემდეგაც ისინი ბენღაზში გაემგზავრებიან.

შეგახსნებთ, რომ თებერვლის შუა რიცხვებიდან ლიბიაში ქვეყნის ლიდერის, მუამარ კადაფის გადადგომის მოთხოვნით, მასობრივი გამოსვლები მიმდინარეობს. რასაც შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, საერთაშორისო ძალები ჩაერივნენ.

ლიბიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციაზე კონტროლი, 31 მარტს, თავის თავზე ნატომ აიღო. ლიბიაში სამხედრო ოპერაცია სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს.

ამ დრომდე ქვეყნის ლიდერის, მუამარ კადაფის ადგილსამყოფელი უცნობი რჩება.

თებერვალში ლიბიაში გარდამავალი ეროვნული საბჭო ჩამოყალიბდა, რომელმაც ლიბიის კანონიერ ხელისუფლებად გამოაცხადა თავი. მისი ლეგიტიმურობა 60 ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმაც აღიარა.

**მედიანიუსი**

## გერმანიის ელჩი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შეხვდა

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დავით ჯალაღანიასა და საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩის ორთვინ ჰენიგის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებში არსებული აქტუალური საკითხები.

**მედიანიუსი**

## რუსი დირიჟორი საქართველოს მოქალაქეობას ითხოვს



საქართველოში ცნობილი რუსი დირიჟორი მიხაილ არკადიევი იმყოფება.რუსი დირიჟორი რუსეთის ხელისუფლების მისამართით გამოთქმული ღია კრიტიკითაა ცნობილი.

ის რუსეთის კომპოზიტორთა კავშირიდან მას შემდეგ გარიცხეს, რაც მან კომპოზიტორთა კავშირის, რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის მხარდამჭერ პარტიაში „სახალხო ფრონტში" გაწევრიანება გააპროტესტა.

თბილისში ჩამოსვლამდე მან საქართველოში წერილი გამოგზავნა, რომელშიც საქართველოს მოქალაქეობას ითხოვს და თავის გადაწყვეტილებას პოლიტიკური მიზეზებით ხსნის.

— მართალია საქართველოში პირველად ვარ, მაგრამ სულიერად ყოველთვის აქ ვიყავი. მე ძალიან მიყვარს თქვენი კულტურა, ხელოვნება, მინდა, რომ საქართველოს მოქალაქეობაც მივიღო, რადგან საქართველო ძალიან სწრაფად ვითარდება. ძალიან ვწუხვარ, რომ დემოკრატია, რომელიც თქვენთანაა, რუსეთში არ არსებობს, — აღნიშნა რუსმა დირიჟორმა.

**მედიანიუსი**

## გიორგი ბარამიამ ზუგდიდში აფხაზეთის პირველი საჯარო სკოლა გახსნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ დღეს ზუგდიდში აფხაზეთის 1 საჯარო სკოლა გახსნა. ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი დალი ხომერიკიც ესწრებოდა.

გიორგი ბარამიამ ზუგდიდში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მოულოცა.

— ახალი სასწავლო წლის დაწყება აფხაზეთიდან დევნილ ყველა მოსწავლეს მინდა, მივულოცო. ამ დღეს განსაკუთრებულად ვულოცავ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ ბავშვებს, რომლებიც წელს სკოლაში პირველად მიდიან. ისინი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანნი არიან, რადგანაც შარშან წარმატებული მოსწავლეების დიდი ნაწილი გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სკოლებიდან იყო. დარწმუნებული ვარ, მოსწავლეები გარემონტებულ სკოლაში მეტი მონდომებით გააგრძელებენ სწავლას და კარგი განათლებით ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მომავალს შექმნიან, — განაცხადა ბარამიამ.



დონორთა დახმარებით ამჟამად აფხაზეთის 21 და 6 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება.

სასკოლო ინვენტარი აფხაზეთის 1 საჯარო სკოლისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო, ხოლო აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით აფხაზეთის საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასკოლო და სპორტული ინვენტარითა და ლაბორატორიული რეაქტივებით განახლება განხორციელდა.

წელს აფხაზეთის საჯარო სკოლებში 200-ზე მეტი პირველკლასელია. ყველა მათგანს ნეტბუქი გადაეცა, აგრეთვე 700-ზე მეტიმა სოციალურად დაუცველმა მოსწავლემ სასკოლო სახელმძღვანელოები მიიღო.

**პირველი**

## გურჯაანის №1 საჯარო სკოლის მე-4 კლასში სასწავლო პროცესი ჩაიშალა

გურჯაანის №1 საჯარო სკოლის მე-4 კლასში სასწავლო პროცესი ჩაიშალა. მშობლებმა, რომლებიც სკოლის დირექტორისგან კლასის ყოფილი ხელმძღვანელის იზა ბეჟიაშვილის სამსახურში აღდგენას ითხოვენ, პროტესტის ნიშნად, საკლასო ოთახიდან გაკვეთილზე მყოფი ბავშვები სახლებში წაიყვანეს, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

მშობლების თქმით, ისინი ბავშვების სკოლაში მიყვანას მანამდე არ აპირებენ, სანამ დირექტორი მე-4 კლასის ხელმძღვანელს სამსახურში არ აღადგენს. დაემთავრებინა ეს კლასიც და მერე გაეშვა მასწავლებელი. ისედაც მიდიოდა მასწავლებელი ერთი წლის შემდეგ თვითონ, დირექტორმა კი მაინც გაათავისუფლა. ეს ყველაფერი რესურსცენტრის უფროსის ლალი გაბიტაშვილის დავალებით მოხდა.

იზა მასწავლებლის ადგილზე, სკოლის დირექტორმა რესურსცენტრის უფროსის მითითებით მისი მეზობელი რუსუდან ტურიაშვილი დანიშნა. რესურს - ცენტრის უფროსს დაქალი, მეზობელი და ნათესავი უმუშევარი აღარ დარჩა, ყველა სკოლებში დაასაქმა", - აღნიშნეს მშობლებმა.

სკოლის დირექტორი მშობლების პროტესტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ლალი გაბიტაშვილი სკოლებში ახლობლების დასაქმებას უარყოფს.

— ტყუილია. მე სკოლის დირექტორს ვუთხარი, რომ იზა მასწავლებელი სკოლიდან არ უნდა წავიდეს, — განაცხადა გაბიტაშვილმა.

**მედიანიუსი**

## TV პროგრამა

### პარასკევი 16 სექტემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "დაკარგული კიდობნის ძიებაში" **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **08.30** საბ. ფილმი "**ნადირობა თაგვზე**" **11.00** სამოთხის ვაშლები **11.55** **რაგბი**. მსოფლიო თასი. ახ. ზელანდია- იაპონია **13.45** ავტოპილოტი **15.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **16.00, 20.00, 02.45** მოამბე **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.20** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი **21.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **21.50** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი **23.50** წითელი ზონა **00.50** მხ. ფილმი "**პეიზაჟი ნისლში**" (სუბტ.) **02.55** მოამბე **03.15** მხ. ფილმი "**სასიყვარულო წერილი**" (სუბტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.30** თავისუფალი ტრიბუნა **20.30** **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **22.30** დოკ. ფილმი **01.00** მხ. ფილმი "**თვალი თვალის წილ**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** სერ. "**მაშველები**" **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **19.45** სერ."**სახლი მეზობლად**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **23.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **09.15** ან. ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. "**ჰანა მონტანა**" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** უცნობი საქართველო **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.50** კონცერტი **01.20** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფილმი "**როგორ მოვიპაროთ მილიონი**" (ო. ჰეპბერნი) **04.10** მხ. ფილმი "**განდგომილები**" (15) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ."**დაკარგული ქვეყანა**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გუნდი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**ელიზა 2**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ. "**დაშნების დედოფალი**" **15.15** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "ვარდისფერი კაცი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**დიდედები და შვილიშვილები**" **13.30** კონცერტი – ნუნუ გაბუნია **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**ბესამე**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** ნიამორი **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** **100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი "**კეთილი ადამიანები**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** დოკ. ფილმი "გადადექი ფაშა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძელება **00.30** განფიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე **01.55** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 სექტემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,641
ევრო —2,3815
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 16 სექტემბრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-26, ღამით — 19-13
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 19-15
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 2-11









# საქართველოს ევროპას და შანსს უზრდიან



როგორც იქნა, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს შანსი ეძლევა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს. არა, ეს შანსი მომავალ ევროპის ჩემპიონატს არ ითვალისწინებს და გათვლა 2016 წელზე გვაქვს გაკეთებული.

როგორც ცნობილია, ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე, რომელსაც საფრანგეთი უმასპინძლებს, 24 გუნდი იასპარეზებს, რაც, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრებს იქ მოხვედრის შანსს უზრდის.

უკვე საბოლოოდ დადგინდა, რომ შესარჩევ ეტაპზე 9 ჯგუფი შეიქმნება, საიდანაც საფრანგეთის საგზურს ავტომატურად მოიპოვებენ პირველ-მეორეადგილოსნები და საუკეთესო მესამეადგილოსანი, დანარჩენი რვა მესამეადგილოსანი კი პლეი ოფში ოთხ წყვილს შექმნის და ფინალურ ეტაპზე მათი გამარჯვებულებიც გავლენ.

მოკლედ, ეს სისტემა სწორედ საქართველოს ნაკრებისთვის არის შექმნილი, რადგან პირველ-მეორე ადგილების დაკავება ჩვენთვის უკვე უტოპიად იქცა. თუმცა, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები არსებობის ისტორიაში ჯგუფში მესამე ადგილზე მხოლოდ ორჯერ გავიდა.

**მ. ჟ.**

# „მის სამყაროზე" ქართველ მოდელს არავინ გულშემატკივრობდა

**ეკა ირემაშვილი**


ლეილა ლოპესი

ბრაზილიის ქალაქ სან პაულოში სილამაზის კონკურსი „მის სამყარო 2011" ჩატარდა, სადაც საქართველოს „იმიჯ ცენტრის" 24 წლის მოდელი ეკა ღურწკაია წარმოადგენდა. ეკა ღურწკაია „მის საქართველოს" გამარჯვებულია, მან პირველი ვიცე მისის წოდება მოიპოვა. კონკურსში „მის სამყარო 2011" სულ 89 ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. სილამაზის კონკურსის დასკვნით ეტაპამდე მოეწყო ტრადიციული დეფილე, სადაც კონკურსანტებმა ეროვნული კოსტიუმები წარადგინეს.


ეკა ღურწკაია

24 წლის ქართველმა მოდელმა დასკვნით კონკურსამდე ორკვირიანი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა და ფინალური ტურისთვის საგანგებოდ მოემზადა. ქართველი ლამაზმანი მაყურებლისა და ჟიურის წინაშე კომპანია „მარიონელას" კაბებით გავიდა. ბოლო წუთამდე უცნობი რჩებოდა, გაემგზავრებოდა თუ არა ვინმე საქართველოდან ეკა ღურწკაიას მხარდასაჭერად და საგულშემატკივროდ. კომპანია „იმიჯ ცენტრში" აცხადებდნენ, რომ ია კიწმარიშვილი საქართველოში არ იმყოფებო-

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

## ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

## ასტროპროგნოზი 16 სექტემბრისთვის

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **ქალწული** — გზიდან ფულს მიიღებთ, პრობლემები მოგეხსნებათ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, თქვენთვის იყავით. **მშვილდოსანი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თხის რქა** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურთ. **მერწყული** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, უბრალოდ საზრუნავი მოგემატათ. **თევზები** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ საქმეს მიხედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მუსლიმანთა სალოცავი; 2. ბუვიეს რომანი; 3. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის" ავტორი; 4. მუსიკალური გამის პირველი ბგერა; 5. უხეირო ლექსები; 6. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 7. კომერციული სავაჭრო საქმიანობა; 10. წყლის დიდი სივრცე, ოკეანის ნაწილი; 11. ექიმბაშის ძველებური სახელწოდება; 12. სასტუმრო გაგრაში; 13. ავტომატურად ჩამრთველ-ამომრთველი ელექტრონული ხელსაწყო; 16. მინიატურული, ქოთანში მზარდი, ჩინური დეკორატიული ხე; 18. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 21. ტოტებჩამოშვებული ტირიფი; 24. რაიმე მოვლენის, ქმედების დასრულებული წრე, დროის გარკვეულ მონაკვეთში.

**თარაზულად:** 1. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 3. ისრაელის დაზვერვა; 8. ფულის ერთეული ერაყში; 9. პოეტის შთაგონების წყარო; 14. შვიდდღიური; 15. რკინიგზის სადგურის ბაქანი; 17. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. ქართველი კინორეჟისორი; 22. აღმოსავლური მაგიდის სათამაშო; 23. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი 1972 წლის მიუნჰენის ოლიმპიადის შვიდი ოქროს მედლის მფლობელი; 25. უკრაინული ბორში; 26. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 27. ქართული სამშენებლო კომპანია; 28. სისხლის სამართლის დანაშაული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## იუმორი



პატარა ბავშვი ექიმს ურეკავს:

— ექიმო, სასწრაფოდ მოდით.

— რა მოხდა, ვინმე ავად გახდა?

— ყველა, ჩემს მეტი.

— ეგ როგორ?

— როგორ და ცუდად მოვიქეცი და არ მაჭამეს ის ლამაზი სოკოები, მამიკომ რომ ტყეში დაკრიფა...

***

ექიმი პაციენტს:

— ვნახე თქვენი ანალიზი, გული უნდა დაგწყვიტოთ, ჭიები გყავთ.

— რაღაც არავაჟკაცური დიაგნოზია, ბიჭები რას იტყვიან?

— რა პრობლემაა, შემიძლია „სათვალიანი გველები" ჩაგიწეროთ...

***

— ღმერთო, ათი ნამეტანია, რამდენიმე მაინც მოვაშოროთ, ვთქვათ, აი, ეს, „არა იმრუშო!"

— მოსე, ნუ მევაჭრები!

— რა? სად წერია აქ „არა ივაჭროო?"

***

— თუ ადამიანს თქვენი ხუმრობა არ სწყინს, იუმორის გრძნობა ჰქონია, თუ ეწყინა, მნიშვნელობას მიმხვდარა.

***

სამშენებლო უნიფორმაში გამოწყობილი ტიპი ელიტურ ავტოსალონში შევიდა.

— „ბენტლი ჯითი კუპე" რა ღირს?

— 250 ათასი ევრო.

— ერთწლიანი კრედიტით?

— 25 ათასი ევრო თვეში.

— ძვირია. ორწლიანი კრედიტით?

— თვეში 12500.

— მაინც ძვირია. სამი წლით?

— იქნებ, უფრო იაფი მანქანა აგერჩიათ.

— შეიძლება, მაგრამ სინკარი მაინცდამაინც ამ მოდელს დაეცა...

***

— ქალებს ნებისმიერ შეკითხვაზე ნებისმიერი პასუხი აქვთ მზად...

***

— მამაკაცი მთელი ცხოვრება ნამდვილ მეგობრებს ეძებს, შემდეგ კი ყველას ერთ ქალზე ცვლის...

**გ.თ.**

## როგორი აღმზრდელი ხართ

**ტესტი**



1. აქვს თუ არა თქვენს ბავშვს საკუთარი ოთახი? (დიახ 3, არა 1)
2. თუ უთმობთ ბავშვს ყურადღებას ყოველდღიურად? (დიახ 3, არა 1)
3. მოთმინებით თუ უდგებით ბავშვს, როდესაც ჭირვეულობს, ან ცუდად ჭამს? (ყოველთვის 3, ხანდახან 2, არასდროს 1)
4. პატიობთ თუ არა ბავშვებს პატარა ცელქობებს? (ყოველთვის 3, ხანდახან 2, არასდროს 1)
5. თუ მიმართავთ დასჯის ფიზიკურ მეთოდებს? (დიახ 3, ხანდახან 2, არასდროს 1)
6. გინდათ თუ არა, რომ ბავშვმა ყველაფერი გაგიზიაროთ? (დიახ 3, ხანდახან 2 არა 1)
7. თუ რამეს უკრძალავთ ბავშვს, თუ უხსნით, რატომ? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)
8. თუ არის თქვენი შვილი დამჯერი? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)
9. თუ მოითხოვთ ბავშვისგან ყველა მოვალეობის შესრულებას, რაც მას აკისრია (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)
10. თუ ადევნებთ თვალს სპეციალურ პედაგოგიურ ლიტერატურას? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)

**პასუხები**

**10-16 ქულა:** მგონი, არასწორად ზრდით შვილებს, რაც უფრო ნაკლებია თქვენს მიერ მოგროვილი ქულების რაოდენობა, მით უფრო მეტად მჟღავნდება ეს.

**17-23 ქულა:** თქვენი შეხედულებები ბავშვების აღზრდაზე ძირითადად სწორია, თუმცა, ბავშვს მუდმივი ზრუნვა ესაჭიროება, თორემ პრობლემები გაგიჩნდებათ.

**24-30 ქულა:** როგორც ნიჭიერი აღმზრდელი, დიდ მადლობას იმსახურებთ, გიყვართ ბავშვები, გყოფნით მოთმინება მათთან ურთიერთობისას.

**გ. თ.**